


ტრანსფორმაცია და ქალაუფლების  
გადააზრება  
უფლებების ჩარჩოს მიღმა



დინ სკვიდი

**ტრანსფორმაცია და ქალაუფლების  
გადააზრება –  
უფლებების ჩარჩოს მიღმა  
დინ სკაიდი**

**თარგმნა სალომე ქინქლაძე**

**■■■ HEINRICH  
BÖLL  
STIFTUNG  
თბილისი**

მ

სხვერპლი-დამნაშავის მოდელის შეზღუდვების გაანალიზების შემდეგ, უკვე შეგვიძლია, კითხვა დავსვათ იმის თაობაზე, ძალაუფლების რომელი მოდელის გამოყენება ჯობია ტრანსი ადამიანების ძალადობრივი გამოცდილებების, სიღარიბისა და შემცირებული სიცოცხლის ხანგრძლივობის უფრო ზუსტი ანალიზისთვის, და ასევე წინააღმდეგობის გზების დასასახად. თუკი სიძულვილით მოტივირებული, განზრახ ჩადენილი ინდივიდუალური დანაშაულის აღმკვეთი კანონები, ტრანსი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების ნაცვლად, პირიქით, უფრო მეტად აძლიერებს ჩვენს მჩაგვრელ სისტემებს, მაშინ სად შეიძლება გამოსავლის პოვნა? ამ წიგნის მთავარი არგუმენტის თანახმად, კანონში შესატანი ცვლილებების სტანდარტული სტრატეგიები, რომლებიც, უმეტესწილად, ტრანსი ადამიანების პრობლემებთან ბრძოლის იარაღად გამოიყენება, ფუნდამენტურ შეცდომას უშვებს ძალაუფლებისა და კონტროლის ბუნების და, ასევე, კანონთან მიმართებით მათი როლის ინტერპრეტირებისას. მარტივად რომ ვთქვათ, ეს სტრატეგიები პრაქტიკულ დონეზე უბრალოდ ვერ იმუშავებს. უფრო მეტიც, ზიანის მომტანიც კი შეიძლება გახდეს. იმისათვის, რომ ტრანსი ადამიანების მიმართ ძალადობასა და მარგინალიზებაზე ვისაუბროთ, საჭიროა, ხელახლა გავაანალიზოთ, თუ როგორ იქმნება მათთვის ეს საფრთხის შემცველი პირობები და, ასევე, შევისწავლოთ, რა ტიპის წინააღმდეგობით იქნება შესაძლებელი მათი შეცვლა. საკანონმდებლო რეფორმით ტრანსფორმირებული ძალადობისა და გარიყვის უბრალოდ დანაშაულად გამოცხადება, არასაკმარისი და არაეფექტურია. კანონის სხვა სტრატეგიები სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მაშინ, თუკი ისინი ტრანსი ადამიანების ფართომასშტაბიანი ბრძოლის მცირე ნაწილად გამოიყენება. ამგვარი დიდი ბრძოლის მიზნები კი სამართლებრივ ცვლილებებს სცდება.

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავაანალიზოთ ის საფრთხე, რომლის წინაშეც ტრანსი ადამიანები დგანან და რომელიც წინასიტყვაობაში აღვწერე, აგრეთვე იმ

მიზნით, რომ მათთვის წინააღმდეგობის გაწევის სტრატეგიის შექმნა შევძლოთ, საჭიროა, თავი დავაღწიოთ იმ ვიწრო და შეზღუდულ ინტერპრეტაციას, რომელსაც ამჟამინდელი საკანონმდებლო რეფორმის ჩარჩო გვთავაზობს ძალადობის მუშაობის ფორმების შესახებ. მნიშვნელობისა და კონტროლის ის სისტემები, რომლებიც ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს არათანაბრად ანაწილებს, როგორცაა რასიზმი, ეიბლიზმი<sup>1</sup>, ტრანსფობია, ქსენოფობია და სექსიზმი, სხვებთან ერთად, ბევრად უფრო გართულებულად, მრავალფეროვნად და სტრუქტურულად მოქმედებენ, ვიდრე ამის გაგების შესაძლებლობას დამნაშავე-მსხვერპლის მოდელი იძლევა. რამდენადაც აუცილებელია, გავიგოთ მიზეზები, თუ რა იწვევს კონკრეტული ადამიანების წარუმატებლობას, რა მიზეზით არ ფლობენ ისინი გადარჩენისათვის საჭირო რესურსს, რატომ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი და ნაადრევად იღუპებიან, უნდა გავანალიზოთ, თუ როგორ მუშაობს ძალაუფლება ინდივიდუალური დისკრიმინაციის მოდელის მიღმა. ძალაუფლებისა და კონტროლის მოქმედების სხვა მექანიზმების კვლევა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, მათი მოქმედების რომელი მიმართულების ანალიზის და აღწერის შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივი თანასწორობის მოთხოვნები და რომლის – არა. აგრეთვე, ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ, კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნის ნარატივები (რომელსაც, ერთი შეხედვით, უთანასწორობისა და ძალადობის პრობლემის გადაჭრის მიზანი ამოდრავებს) რამდენად წარმოქმნის ან აძლიერებს მნიშვნელობისა და კონტროლის კონკრეტულ სისტემებს. ასევე შეგვიძლია, დავიწყოთ წინააღმდეგობის სტრატეგიების ფორმულირება, რომლებიც ძალადობის ისეთ მეთოდებსა და არეალს მიემართება, რომლებიც პრობლემად გვესახება. ძალაუფლების ანალიზის მიზნით, მე გამოვიყენებ ჩარჩოს, რომელიც, უმეტესად, მიშელ ფუკოს ნაშრომს ეფუძნება. ეს ჩარჩო სოციალურ მოძრაობებში საკანონმდებლო რეფორმის სტრატეგიების როლის ანალიზისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმ მოძრაობებში, რომლებიც კანონის საზღვრების მიღმა ცვლილებების საშუალებას იძლევა.

---

<sup>1</sup> შშმ პირების მიმართ არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია [მთარგმნელის შენიშვნა].

# ქალაუფლების სამი რეჟიმი დამნაშავე/მსხვერპლის ქალაუფლება: გარიყვა და ჩამორთმევა

თანამედროვე პოლიტიკის დომინანტურ, ლიბერალურ, უფლებებზე ორიენტირებულ ჩარჩოში, ძალაუფლების საკითხის კვლევა ყველაზე ხშირად განზრახ ჩადენილი, ინდივიდუალიზებული ნეგატიური ქმედების, დისკრიმინაციის, გარიყვისა და ძალადობის შემთხვევების ანალიზს მოიცავს. ამ ჩარჩოში ხშირად მოჰყავთ მაგალითად „მხოლოდ თეთრკანიანებისათვის“ ტიპის აბრები სხვადასხვა კერძო ბიზნესში; ინდივიდები, რომლებიც გენდერის, რასის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სამსახურიდან დაითხოვეს, ან არ დაასაქმეს; ან კი სიმულვილით მოტივირებული ფიზიკური ძალადობა და მკვლევლობები; ლიბერალური და უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩოების ფარგლებში, ძალაუფლების ამ ფორმის ამოცნობა ყველაზე მარტივია, და იგულისხმება, რომ ძალაუფლების ეს გამოვლინებები ჩარევას და გამოსწორებას საჭიროებს. ხშირად კი ამგვარი ჩარევა ინდივიდუალური სასჯელის სახით გვევლინება. სწორედ ესაა დამნაშავეზე ორიენტირებული პერსპექტივა. ძალაუფლების ამ მეთოდის გაგება სხვაგვარადაც შეგვიძლია: თითქოს, ძალაუფლება „ჩამორთმევის“ გზით მუშაობს, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ მსხვერპლთათვის შესაძლებლობების, საკუთრების, სიცოცხლის წართმევას, იმიტომ რომ დამნაშავემ თავისი ცუდი იდეების განხორციელება გადაწყვიტა. <sup>1</sup>

როგორც მეორე თავში განვიხილე, კანონში ძალაუფლება რეპრესიის ან სუბტრაქციის ცნებებში აღიწერება (მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული და სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ არსებული კანონები). ამ მოდელმა საკმაოდ დიდი კრიტიკა დაიმსახურა, რადგანაც ვერ შეძლო, აეხსნა ის მრავალი პრობლემა, რასაც ისეთი ჯგუფები აწყდებიან, რომლებიც რესურსთა გადანაწილების სისტემაში წაგებულის პოზიციაში არიან, და რომლებიც ასეთი

ინდივიდუალური, მიზანმიმართული და ნეგატიური ქმედებების დანაშაულად გამოცხადების მიუხედავად, წაგებულად რჩებიან. როგორც აღან ფრიმენი აღნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ დამნაშავეზე ორიენტირებული პერსპექტივა ინდივიდუალურ დისკრიმინატორთა განზრახ ჩადენილ ქმედებებზე ფოკუსირდება, ის საშუალებას არ გვაძლევს, დავინახოთ, რომ მთელი მოსახლეობა უთანასწორო პირობებში იმყოფება.<sup>2</sup> დისკრიმინაციის პრინციპი გვეუბნება, რომ მთავრობას კანონის საშუალებით კონკრეტული ქმედებების აკრძალვა შეუძლია და რომ კანონი ჩვენთვის სასურველ შედეგებს მოიტანს. ეს მსჯელობა ეფუძნება მტკიცებას, რომ ძალაუფლება ზემოდან ქვემოთ განხორციელებული ქმედებაა, კანონი კი თავს უყრის სახელმწიფოს პოზიციებს, რომელთაც [მოსახლეობისთვის] კონკრეტული შედეგები მოაქვს.

ფუკო ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ ძალაუფლების ძირითადი ნიშანი რეპრესია ან ჩამორთმევაა. იგი აღნიშნავს, რომ სინამდვილეში მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო კომპლექსურია. ფუკოს თანახმად, შეცდომა იქნება, თუკი ძალაუფლებას „შემცირების საშუალებად... ჩამორთმევის მექანიზმად, ქონების, პროდუქტზე არსებული გადასახადების, საქონლისა და სერვისების, შრომისა და სიცოცხლის მითვისების უფლებად განვიხილავთ“. ამის სანაცვლოდ, იგი ამტკიცებს, რომ „შემცირება“ არ არის „ძალაუფლების ძირითადი ფორმა, არამედ სხვა დანარჩენ ელემენტებს შორის ერთ-ერთია, რომლის მიზანიც მის ქვეშ არსებული სხვადასხვა ძალისთვის ბიძგის მიცემა, მათი გამყარება, კონტროლი, მონიტორინგი, ოპტიმიზება და ორგანიზებაა. ამგვარი სახის ძალაუფლება მიზნად ისახავს სხვადასხვა ძალის ამოქმედებას, მათ გაძლიერებასა და სტრუქტურირებას, და არა მათი დამორჩილების იძულებას“<sup>3</sup>. აღნიშნული შეხედულება დაგვეხმარება იმის გასაანალიზებლად, თუ როგორი კავშირი აქვთ ტრანს ჯგუფებს ადმინისტრაციულ სისტემებთან. ეს სისტემები, რომლებიც ადამიანებისათვის ცხოვრებისეული შესაძლებლობების გადანაწილებას განსაზღვრავენ და კონკრეტულ ჯგუფებს პრივილეგიებს სხვების ხარჯზე ანიჭებენ, ამავდროულად, ისეთი სამართლებრივი სისტემის სახელით მოქმედებენ, რომელიც უნივერსალურ თანასწორობას გვპირდება. რასიზმის, ჰომოფობიის, სექსიზმის, ტრანსფობიისა და ეიბლიზმის ფუნქციონირების

სხვადასხვა შრის ანალიზისათვის, აუცილებლად გვჭირდება ძალაუფლების მოქმედების დამატებითი შესწავლა. ამ ტექსტში მსურს, განვიხილო ძალაუფლებისა და კონტროლის ორი, დამატებითი რეჟიმი, რომელთაც ძალაუფლების „დისციპლინურ“ და „მოსახლეობის მართვის“ რეჟიმს ვუწოდებ.<sup>4</sup> მათი სახელდება და შესწავლა საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ ის, რასაც ანალიზის მიღმა ტოვებს დამნაშავე/მსხვერპლის, ინდივიდუალური / განზრახ ჩადენილი დისკრიმინაციის მოდელები რასიზმის, სექსიზმის, ებლიზმისა და ტრანსფობიის შესახებ მსჯელობისას. ამგვარი ძიება საშუალებას გვაძლევს, უფრო ფართო დონეზე შევისწავლოთ კანონს, კონტროლს, დისტრიბუციასა და რედისტრიბუციას შორის არსებული ურთიერთკავშირი. ამასთან, ნათელს მოგვჩვენებს იმას, რომ ინდივიდუალური / განზრახ განხორციელებული დისკრიმინაციის ჩარჩოებში მოქცეული საკანონმდებლო რეფორმები არათუ ვერ ამცირებს ზიანს, არამედ, პირიქით, აძლიერებს კიდევაც რესურსების არათანაბარი გადანაწილების ხელშემწყობ სისტემებს, ხოლო ადამიანთა კონტროლის მექანიზმებს კიდევ უფრო ქმედითს ხდის.

## დისციპლინური ძალაუფლება: შესაფარისი ქცევის ნორმები და არსებობის ფორმები

ძალაუფლების დისციპლინური რეჟიმი გვაჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს რასიზმი, ტრანსფობია, სექსიზმი, ებლიზმი და ჰომოფობია იმ ნორმების მეშვეობით, რომლებიც ადამიანების კატეგორიებისა და შესაფერისი ქცევის შესახებ წარმოდგენებს ქმნიან. ეს ნორმები შიდა და გარე წესრიგის კონტროლითა და დისციპლინის საშუალებით ძლიერდება. ისეთი ინსტიტუციური სფეროები, როგორცაა მედიცინა, სოციალური მეცნიერებები და განათლება – რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების, სწორი ქცევისა და სოციალიზაციის სტანდარტებს

განსაზღვრავს და შეისწავლის – დისციპლინური ძალაუფლების მოქმედების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. ეს სფეროები გვასწავლის, თუ როგორ უნდა აღვიქვამდეთ საკუთარ სხეულებს, როგორ გვაცალიბებენ საკუთარი ქმედებები კონკრეტულ ადამიანებად, 5 და ასევე, თუ როგორ უნდა შევცვალოთ საკუთარი თავი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, იმისათვის რომ არსებულ ნორმებს უკეთ მოვერგოთ. 6 დისციპლინური ძალაუფლების დახასიათებისას, ფუკო აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ძალაუფლება „ძირითადად სხეულით ინტერესდება, მას ინდივიდუალიზებული შედეგები აქვს, ის მანიპულირებს სხეულით, როგორც ისეთი ძალის წყაროთი, რომელიც ერთდროულად დამყოლიც უნდა იყოს და სასარგებლოც“.7 დისციპლინური ნორმები გვასწავლის, როგორ უნდა ვიყოთ სათანადო კაცი, ქალი, ბიჭი და გოგო. ამ ნორმებითვე ვსწავლობთ, თუ როგორ ვიყოთ ჯანმრთელები, პატიოსნები, პუნქტუალურები, პროდუქტიულები, ინტელიგენტები, მეგობრულები, ან სხვა იმ თვისებებით აღჭურვილნი, რომლებიც ჩვენს კონტექსტში ღირებულად მიიჩნევა. ან კი, როგორ ავირიდოთ თავიდან (ან, ვეცადოთ, რომ ავირიდოთ), განგვსაზღვრონ უპასუხისმგებლოდ, კრიმინალად, ფსიქიკური დაავადების მქონედ, ჩამორჩენილად, ამორალურად, ზარმაცად, სოციოპათად, ნივთიერებებზე დამოკიდებულად, შენელებულად, ან ნებისმიერი იმ თვისების მქონედ, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში უარყოფითი კონოტაციის შემცველია. ჩვენ სათანადო, ნორმალური ცხოვრების უნივერსალურ კონსტრუქტებსა და იმ ტექნიკებს დავისწავლით, რომლებიც ამ იდეალთან მიახლოებაში გვეხმარება. ხოლო იდეალურთან მიახლოების შეუძლებლობის გამო, პიროვნება შიდა და გარე კონტროლს ექვემდებარება და მთელ ცხოვრებას თავისი თავის გარდაქმნას უძღვნის.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნორმები ინსტიტუტებისა და სუბკულტურების, ასევე, დროის მიხედვით ცვალებადია. პიროვნების სექსუალურ ქცევასა და მის იდენტობას შორის ურთიერთმიმართების დროში ცვალებადობაზე ფუკოს ნაშრომში განხილული ერთ-ერთი ცნობილი მაგალითი მიუთითებს. ჰომოსექსუალობისა და ჰეტეროსექსუალობის ის კლასიფიკაციები, რომელთაც დღეს მოცემულობად ვიღებთ, მე-19 საუკუნის ევროპელმა ექიმებმა და მეცნიერებმა გამოიგონეს. ისინი სწორედ იმგვარი სექსუალური ქცევების შესწავლით დაინტერესდნენ, რომლებიც იმ დრომდე



სისხლის სამართლის დარღვევებად მიიჩნეოდა და პიროვნების სიღრმისეული ბუნების გამოვლინებად არ აღიქმებოდა. სწორედ ამ ექიმებმა და მეცნიერებმა განავითარეს მოსაზრება, რომ ადამიანებს, რომლებიც ერთვებიან, ან რომელთაც სურთ, გარკვეული სახის სექსუალური ქცევით დაკავდნენ, და/ან ჰქონდეთ კონკრეტული გენდერული გამოხატვა, ბავშვობისდროინდელი, განსხვავებული გამოცდილება, სპეციფიკური ფსიქიკა და ხასიათი აქვთ.<sup>8</sup> ფუკო წერდა:

ანტიკური სამოქალაქო ან კანონიკური კოდექსების განმარტების თანახმად, სოდომია აკრძალული ქმედებების კატეგორია იყო, ხოლო დამნაშავე – მხოლოდ იურიდიული სუბიექტი. მე-19 საუკუნის ჰომოსექსუალი, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ცხოვრების ტიპი, ფორმა, მორფოლოგია, უხამსი ანატომიითა და შესაძლო იდუმალი ფიზიოლოგიით, გახდა პერსონაჟი, წარსული, შემთხვევის ისტორია, ბავშვობა. იგი მთლიანად განისაზღვრა საკუთარი სექსუალობით... სექსუალობა პიროვნების არსებითი ნაწილი გახდა და ის უბრალოდ ცოდვა კი აღარ იყო, არამედ, მისი ბუნების ერთადერთი არსი. ... თუკი მანამდე სოდომიტობა ადამიანის მიერ დაშვებულ დროებით შეცდომას წარმოადგენდა, ახლა ჰომოსექსუალი ახალი სახეობა გახდა.<sup>9</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნეში განვითარებული სექსოლოგიის თეორიები, რომელთაც ფუკო აღწერს, მოგვიანებით საკმაოდ შეიცვალა, ისინი დღემდე საფუძვლად უდევს „გეი ტვინისა“ და „გეი გენების“ შესახებ თანამედროვე კვლევებს. ამ თეორიებმა საკმაოდ მყარ კულტურულ იდეებს დაუდო საფუძველი, რომლებიც კვლავ განსაზღვრავენ ადამიანების მიერ საკუთარი თავისა და სხვების აღქმას სექსუალური სურვილის მნიშვნელოვნებასთან მიმართებით. ადრეული ეტაპის სექსოლოგების მიერ განვითარებული ამ თეორიების მიხედვით, ჰომოსექსუალური სურვილები ან ქმედებები ისეთი ქცევათა სპექტრი კი არ არის, რომელიც ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გამოსცადოს, არამედ ისინი ადამიანს კონკრეტული ტიპის პიროვნებად – ჰომოსექსუალად – აყალიბებენ. ეს მიდგომა თავიდანვე აიტაცა და დღემდე განსაზღვრავს თანამედროვე ლესბოსურ და გეი პოლიტიკას. იმ თეორიებთან წინააღმდეგობა, რომლებიც ჰომოსექსუალობას პათოლოგიად წარმოადგენს, სულაც არ ნიშნავდა იმის უარყოფას, რომ ჰომოსექსუალური

ქმედებები და სურვილები იდენტობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია. პირიქით, ადამიანების მიერ ამ იდენტობებთან საკუთარი თავის ასოცირებამ, და ისეთი პოლიტიკის გაძლიერებამ, რომელიც ჰომოსექსუალურ იდენტობას ბუნებრივად, მისაღებად და ჯანსაღად აცხადებს, აღნიშნული იდეაც მეტად დაამკვიდრა. ადამიანების ჰომოსექსუალურობად და ჰეტეროსექსუალურობად დაყოფა, ხოლო სექსუალური სურვილის და/ან ქცევის იდენტობის განმსაზღვრელ ელემენტებად წარმოჩენა, დღემდე ძალაშია, მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომლებიც ამ მსჯელობის შემადგენელ შეფასებებს, ტერმინოლოგიასა და მიზეზობრივ თეორიებს შორის არსებობს. ჰომოსექსუალობის შესახებ არსებული სხვადასხვა მსჯელობა (რომელსაც ჰომოსექსუალობის კატეგორიის შექმნისთანავე დაედო დასაბამი), იმ დაშვებას ეფუძნებოდა, რომ ჰომოსექსუალები ადამიანთა კატეგორიაა და რომ ადამიანის იდენტობას მისი სექსუალური სურვილი განსაზღვრავს. ასევე იმას, რომ ადამიანის სექსუალური სურვილების ცოდნა და გამჟღავნება აუცილებელია მისი ნამდვილი, ჭეშმარიტი „მეს“ შესაცნობად და გამოსავლენად.

რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესი მხოლოდ სექსუალობის სფეროს არ შეეხება. ზოგადად, ადამიანების სხვადასხვა (წესიერი და უწესო) კატეგორიის შექმნა საზოგადოებაში გავრცელებული დისციპლინური ძალაუფლების ძირითადი გამოვლინებაა. ამ კატეგორიების (მაგალითად, ჰომოსექსუალი, კრიმინალი, სახელმწიფო კეთილდღეობის სისტემაზე დამოკიდებული დედა, პროდუქტიული მოქალაქე, ტერორისტი) აგება და შენარჩუნება კონკრეტულ წესებსა და ნორმებს აყალიბებს (მაგალითად, პუნქტუალობა, ჰეტეროსექსუალობა, მონოგამია, კვებასთან დაკავშირებული ნორმები, რასობრივი სეგრეგაცია, მანერები, ჩაცმასთან დაკავშირებული ეტიკეტი). ამ ნორმებს ის ინსტიტუტები აძლიერებენ, რომლებსაც დიაგნოსტიკა, შეფასება, ფორმალური ან არაფორმალური დისციპლინური ინტერვენციების ან სწავლებების განხორციელება ევალებათ. გარდა ამისა, ისინი სოციალური ან შინაგანი დასტურის მიღების ან შერცხვენის მექანიზმებით ძლიერდება. ნორმების საშუალებით ჩვენ დავისწავლით, როგორ ვიყოთ ნორმალური კაცი, ქალი, გოგო, ბიჭი, სტუდენტი, მუშა, მენეჯერი, მშობელი, რომელიმე რასის

წარმომადგენელი, ჯარისკაცი, როგორ შევიმოსოთ ჩვენი ასაკის შესაბამისად, ვიკვებოთ სწორად, ვიყოთ პატრიოტი, ან რომელიმე სუბკულტურის წარმომადგენელი. ეს ნორმები და ქცევის კოდები ჩვენი სხეულების, ფიქრების, ქცევების ყველაზე მცირე ელემენტებამდეც კი აღწევს. ჩვენი დისციპლინირებული ქცევის შედეგად მიღწეული ამ კატეგორიებისა და იარლიყების საშუალებით, კუთვნილი ადგილი მიგვეჩინება და სწორედ ეს გვეხმარება საკუთარი თავის წესისამებრ შეცნობაშიც.

ფუკოს თანახმად, ამ ნორმების ინტერნალიზებისთანავე იძულებას თვითკონტროლი ჩაანაცვლებს. ეს კი, შეიძლება, იმაზე მიუთითებდეს, რომ დისციპლინური ძალაუფლება, კონტროლის სხვა ფორმებთან შედარებით, რატომღაც უფრო „რბილი“ ან ნაკლებად ძალადობრივია. მაგრამ, გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკის, ენ ლაურა სტოლერისა და რეი ქროუს მიერ ფუკოს ანტიკოლონიურ ჭრილში გადააზრებას თუ გავეცნობით, დავინახავთ, რომ ფიზიკური ძალადობა და მოსალოდნელი ძალადობის მუქარა კონტროლის აღნიშნულ ფორმებს თან სდევს და კიდევ უფრო აძლიერებს მათ. გამომდინარე იქიდან, რომ კონტროლის ინტერნალიზების შედეგად ის ხშირად უჩინარიც კი ხდება, მრავალმა თეორეტიკოსმა დისციპლინის ამგვარი კონცეფცია ძალადობის შემცირების გამოსახატად გამოიყენა. თუმცა, რასის, გენდერისა და კოლონიალიზმის ანალიზი ააშკარავებს, რომ დისციპლინის/წესრიგის გაჩენა სულაც არ ნიშნავს ძალადობის აღმოფხვრას. მარტივია მაგალითების გახსენებაც, როცა ნორმების განსამტკიცებლად ძალადობრივი მეთოდები იყო გამოყენებული. წარმოიდგინეთ იძულებითი ფორმის ფსიქიატრიული მკურნალობა, რაც იმ ადამიანების ფსიქიკურ პროცესებსა და შესაძლებლობებში ჩარევასა და ცვლილებას გულისხმობს, რომელთა ქცევა ან გამოხატვა საზოგადოებაში დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება. კიდევ ერთი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვიდრი მოსახლეობის იძულებითი ასიმილაცია. აქ სკოლა-ჰანსიონების პროგრამების საშუალებით ახალგაზრდა ადამიანებს მკვიდრი მოსახლეობის ენაზე საუბარი ან მკვიდრი მოსახლეობის კულტურულ პრაქტიკებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. ამავდროულად კი, ძალადობრივი საშუალებებითა და ოჯახისა და თემისაგან

განცალკევების გზით, ახალგაზრდებს ევროპულ გენდერულ ნორმებს ახვევდნენ თავს იმ მიზნით, რომ მათში ევროპულ-ამერიკული ცხოვრების წესი დაემკვიდრებინათ. 11 კულტურა მსგავსი მაგალითებით არის გაჯერებული. ძალადობა სოციალური კონტროლის ძირითადი საშუალებაა. ის გენდერული, რასობრივი, შესაძლებლობებთან დაკავშირებული, კლასობრივი და სხვა ნორმების გაძლიერების მთავარი ინსტრუმენტია. ეს ნორმები კი თვითაღქმის, სხვებისა და სამყაროს აღქმის უნარს გვიყალიბებენ. ისინი ცხოვრების ყველა სფეროში იჭრებიან, იმ უწვრილმანესი დეტალებიდან დაწყებული, თუ როგორ ვღებავთ საკვებს, დავდივართ ან ვსაუბრობთ, უფრო ფართოდ, სისტემურ დონეზე – როგორ ვიცავთ დროს, ვზომავთ პროდუქტიულობას, ვაანალიზებთ ადამიანურ ცხოვრებას.

კონტროლის დისციპლინურ რეჟიმთან წინააღმდეგობა ხშირად ღირებულების ძალადობრივი იერარქიების მაწარმოებელი ქრისტიანობის, ჰეტეროსექსუალობის, მამაკაცურობის, გენდერული ბინარულობის ნორმებისა და ჯანმრთელობის, ინტელექტის, სილამაზისა და აზროვნების სტანდარტების კრიტიკასა და შეწინააღმდეგებას მოიცავდა. წინააღმდეგობის ეს სტრატეგიები ხშირად ნათელს ჰფენს დისციპლინურ ნორმებს და, ამავდროულად, ცხოვრების ალტერნატიულ გზებს ლეგიტიმურობას სძენს. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მომუშავე აქტივისტები, რომლებიც ადამიანებს საკუთარი სხეულისა და იდენტობების აღქმასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების კითხვის ქვეშ დაყენებისკენ მოუწოდებენ და ცხოვრების ალტერნატიულ გზებზე საუბრობენ, სწორედ ძალაუფლების დისციპლინურ რეჟიმთან წინააღმდეგობას ავლენენ. ამის ერთ-ერთ მაგალითად ხშირად მოჰყავთ ხოლმე 1970-იანი წლების თეთრკანიანი ფემინისტი აქტივისტები და ინტელექტუალები. თუმცა, აღნიშნული სტრატეგია, ამავე დროს, ფართოდ გამოიყენებოდა პუერტო-რიკოს, შავკანიანთა ძალაუფლების, ლესბოსელი და გეი, ფერადკანიანი ქალების ჯგუფების მიერ. მათ სილამაზის სტანდარტების, ჰეტეროსექსიზმის, მონოგამიის, მართვის იერარქიული სტილისა და სხვა საკითხების ანალიზი დაიწყო. შედეგად კი ცხოვრების ალტერნატიული გზები შემოგვთავაზეს, ბუნებრივი ვარცხნილობით დაწყებული, პოლიამორიით, ვეგეტარიანელობითა და მართვის კოლექტიური სტრუქტურებით

დასრულებული. ძალაუფლების დისციპლინური მეთოდის მიმართ წინააღმდეგობის კიდევ ერთი მაგალითია, როდესაც სოციალური მოძრაობები მედიის მიერ სხვადასხვა თემის/ჯგუფის რეპრეზენტაციების კრიტიკას იწყებენ. მსგავსი კრიტიკა ხშირად მიემართება ამ ჯგუფებისათვის ისეთი თვისებების მიწერას, როგორცაა ზარმაცი, დანაშაულისკენ მიდრეკილი, ფსიქიკურად არაჯანსაღი. „ნარკოტიკებთან ომის“ (War on Drugs) კამპანიის დაწყების შემდეგ, შავკანიანთა და ახალგაზრდათა წინააღმდეგობის ჯგუფებმა მეინსტრიმულ მედიაში შავკანიანი ახალგაზრდების რეპრეზენტაციები შეისწავლეს და გააკრიტიკეს. ახალგაზრდების ამგვარი გაშუქება რასისტულ მითებსა და პოლიტიკურ სტრატეგიებს კიდევ უფრო აძლიერებდა და ამყარებდა. მეინსტრიმული მედიის მიერ სხვადასხვა ჯგუფის წაშლილი და უგულვებელყოფილი გამოცდილებების აღსადგენად, ამ ჯგუფებმა საკუთარი მედიაც კი შექმნეს. იგივე გააკეთეს იმიგრანტმა აქტივისტებმაც. მათი ყურადღების ცენტრში მოექცა რასიზმი და ქსენოფობია, რომლებიც მედიაში იმიგრაციის საკითხების დაფარვას უწყობდა ხელს. იმიგრაციის თემებზე მომუშავე აქტივისტები ინფორმაციის ალტერნატიულ არხებს ქმნიდნენ. ეს მედია „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ კამპანიის მიერ მოტანილი რასიზმის, ისლამოფობიისა და ქსენოფობიის შესახებ ახალ ცოდნებს ქმნიდა. ამასთანავე, მედიის ფემინისტურ კრიტიკასაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ფემინისტურმა პერსპექტივებმა ნათელი მოჭვინა სექსისტურ მედია რეპრეზენტაციებს და საკითხების გაშუქების ალტერნატიული გზები შემოგვთავაზა. მრავალ მოძრაობაში შეიქმნა მედიის სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ კონცენტრირდებოდნენ სხვადასხვა მედიის კრიტიკასა და მედიისთვის გასაცემი პასუხების მომზადებაზე. დისციპლინური ძალაუფლების მიმართ წინააღმდეგობის კიდევ ერთი მაგალითია დებატები იმის თაობაზე, ესა თუ ის ქცევა, გამოხატვა დანაშაულად, ავადმყოფობად უნდა ჩაითვალოს თუ უბრალო ალტერნატივად სხვა ალტერნატივებს შორის (მაგალითად, ჰომოსექსუალობა, სიმსუქნე, ტრანს იდენტობა, ორსულობა, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება). ეს ბრძოლები ცალკეული დისციპლინური ნორმებისა და სტანდარტების მიმართ წინააღმდეგობებს გამოხატავს. ნორმებისა, რომელთა შექმნასაც ისეთი დარგები უწყობს ხელს,

როგორცაა მედიცინა, კრიმინოლოგია და სოციოლოგია. ასეთი ბრძოლები კონკრეტული ქმედების ან იდენტობის მნიშვნელობების გარდაქმნის სურვილის გამოხატულებაა.

საკანონმდებლო რეფორმის სტრატეგიები დისციპლინურ კონტროლს სათანადოდ ვერ ასახავს. აღნიშნული ნორმების ცვლილების მიმართულებით, ანტიდისკრიმინაციული კანონები ხშირად უძლური და წარუმატებელი აღმოჩნდა. სასამართლო ინსტიტუტებმა დაასკვნეს, რომ მუშებისათვის სამუშაოზე დაწესებული თმით გამოცხადების აკრძალვა, რომელიც ფერადკანიანთათვის დამახასიათებელი ვარცხნილობაა, რასობრივი დისკრიმინაცია არ არის 12, და რომ მარგალიტის სამკაულის ტარების გამო, დამსაქმებლის მიერ კაცად აღქმული პიროვნების სამსახურიდან გათავისუფლება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციას არ წარმოადგენს, 13 ხოლო ისეთი აპლიკანტის დასაქმებაზე უარის თქმა, რომელიც სტანდარტული ამერიკული აქცენტით არ საუბრობს, ეროვნების მიხედვით ადამიანის დისკრიმინაციას არ ნიშნავს 14, და რომ ქალი დასაქმებულისთვის მაკიაჟისა და მისი გენდერისთვის შესაბამისი ტანისამოსის ტარების იძულება სქესობრივი დისკრიმინაცია არ არის. 15 გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულში რასიზმის, სექსიზმის, ეიბლიზმის ან ქსენოფობიის ნიშნების ძიებისას, სამართალი, ძირითადად, ინდივიდუალურ, დამნაშავე/მსხვერპლის მოდელს ეყრდნობა, ხშირად წარუმატებელი ხდება დისციპლინური ნორმებისა და სტანდარტების გამოწვევის წინაშე დაყენება. შესაბამისად, რასისტული, სექსისტური, ეიბლისტური, ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ტრანსფობიური სტანდარტები კვლავ და კვლავ ნარჩუნდება.

# მოსახლეობის მართვის ძალაუფლება: სხოვრებისეული შესაძლებლობების გადაანალიზება

როგორც უკვე აღვნიშნე, მოსახლეობის მართვა ძალაუფლების ის მოდელია, რომელიც უფლებებისა და ფორმალური სამართლებრივი თანასწორობის შესახებ ლიბერალურ დისკურსში ყველაზე იშვიათად გვხვდება. ძალაუფლების ამ და სხვა რეჟიმებს შორის არსებული განსხვავებების დახასიათებისას, ფუკო აღნიშნავს, რომ „მთავარი საკითხი აქ ადამიანებისთვის კანონების დაწესება კი არ არის, არამედ – გარკვეული მოწყობის შექმნა. ეს კი, კანონების ნაცვლად ტაქტიკების გამოყენებას და, აგრეთვე, კანონების ტაქტიკების სახით გამოყენებას გულისხმობს – ისეთი წესრიგის შესაქმნელად, რომ სხვადასხვა კონკრეტული მეთოდის გამოყენებამ ამა და ამ შედეგამდე მიგვიყვანოს.<sup>16</sup> კანონის ამგვარი დეცენტრალიზებული ხედვა იმაზე მიუთითებს, რომ კანონი ძალაუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა კი არ არის, არამედ ის უბრალო ტაქტიკაა. ეს კი ნიშნავს, რომ ძალაუფლების მოქმედების ძირითადი ფორმა აკრძალვა ან ნების დართვა კი არ არის, არამედ – უსაფრთხოებისა და საფრთხის სისტემატიზაცია და გადანაწილება. ძალაუფლების ამ ტიპს, რომელიც ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს მოსახლეობის წევრებზე გადაანაწილებს, მე ძალაუფლების „მოსახლეობის მართვის“ რეჟიმს ვუწოდებ. აღნიშნული ფორმა ისეთ ინტერვენციებს მოიცავს, რომლებიც მთელ მოსახლეობაზე ახდენს გავლენას. როგორც წესი, ამგვარი ჩარევა ერის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის სახელით ხორციელდება. საყოველთაო, სახელმწიფო პროგრამები – ფაქტობრივად, ის პროგრამები, რომლებიც თავად ერის არსებობას განსაზღვრავს – როგორცაა გადასახადები, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სოციალური კეთილდღეობის პროგრამები (სოციალური უსაფრთხოება, ჯანდაცვის პროგრამა, საზოგადოებრივი დახმარება), იმიგრაციის პოლიტიკა და მისი აღსრულება, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სისტემები, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტაციის პროგრამები (პასპორტები, მართვის მოწმობები, დაბადების რეგისტრაცია) ძალაუფლების სწორედ ამ ტიპის მექანიზმებია. ამ პროგრამებს, ერთი შეხედვით, ნეიტრალური კრიტერიუმები აქვთ, რომელთა მიზანი ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაა. ეს პროგრამები სახელმწიფო მოსახლეობის სიცოცხლის ხელშეწყობის, დაცვისა და გაუმჯობესების სახელით მოქმედებენ და სწორედ ამ გზით მიუხედავად ერთმანეთისაგან, თუ ვინ მოიაზრება სახელმწიფო მოსახლეობაში და ვინ არიან „სოციალური სხვები“ – ისინი, ვინც ამ მოსახლეობისთვის საფრთხეს და ზედმეტ ტვირთს წარმოადგენს.<sup>17</sup>

ჯეიმს კ. სკოტი აღწერს, თუ როგორ იქმნება თანამედროვე ერი-სახელმწიფო მოსახლეობის დონის მმართველობის საშუალებების წარმოშობით. სკოტი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის შესახებ სტანდარტიზებული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობა, რასაც ხელს უწყობს სტანდარტიზებული შეწონვა და საზომები, ენა, **სახელდების პრაქტიკები**, მიწის საკუთრებაში ქონის სხვადასხვა ფორმა (რამიც იგულისხმება ქონებაზე საკუთრების უპირობო უფლება და არა რეგიონისთვის დამახასიათებელი მიწის ზიარ საკუთრებაში ქონა) და სხვა მექანიზმები თავად სახელმწიფოებრიობას ქმნის. ეს მექანიზმები ისეთ ბაზისურ პროცესებს ხდის შესაძლებელს, როგორცაა შემოსავლის გამომუშავება, სოციალური კონტროლი და მილიტარიზმი. 18 იმავე საკითხს იკვლევს მიშელ დინი თავის ნაშრომში, რომელშიც ფუკუს მმართველობის თეორიაზე საუბრობს. დინი წერს:

ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარება, ძალის ლეგიტიმურ გამოყენებასა და გადასახადების დაწესებაზე მონოპოლია, საერთო ვალუტის შემოღება, გაზიარებული კანონები და სამართლებრივი ავტორიტეტები, წიგნიერებისა და ენის კონკრეტული სტანდარტები, სტაბილური და განგრძობითი დროითი და სივრცითი სისტემები – ეს ყოველივე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ისტორიულად, ერი-სახელმწიფო ცენტრალური ძალაუფლების მიმართ მართვის სხვადასხვა სფეროს დაქვემდებარებით იქმნებოდა და ამ უფლებამოსილებას დიდი



ხნის წინ დაფუძნებულ (თუ არა მუდმივ) ინსტიტუტებსა და სამუშაო ძალაზე ავრცელებდა.<sup>19</sup>

ის სისტემები, რომლებიც ერს მის ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარებითა და მთლიან მოსახლეობაზე გავრცელებული, სტანდარტიზებული პრაქტიკებით ქმნის, ამავდროულად, აუცილებელ პირობად იღებს „სხვა“ მოსახლეობის, ჯგუფების შექმნასა და მათ იდენტიფიკაციას. ამერიკის შეერთებული შტატების დაფუძნების დღიდან, სახელმწიფო მოსახლეობისა და მისი შემადგენელი „სხვების“ ერთმანეთისაგან განცალკევება გენდერირებული რასობრივი იდენტობის განსაზღვრით ხდებოდა. ეს პროცესი კი აუცილებლად მოიცავდა მიწისა და შრომის მითვისებას. განსხვავება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას და ასაზრდოოს და მათ შორის, ვინც „შიდა მტრად“, „საფრთხედ“ ან ტვირთად აღიქმება, დღემდე რასობრივად განსაზღვრული გენდერირებული ჩარჩოების მიხედვით დგინდება. ძალაუფლების დისციპლინური რეჟიმი წესიერ, პროდუქტიულ მოქალაქედ, მუშად, მოზარდად, კაცად, ქალად ან სტუდენტად ყოფნისთვის აუცილებელ ნორმებს აწარმოებს, რომელთაც ინდივიდები იძულებით ემორჩილებიან. მოსახლეობის მართვის დონის ძალაუფლება კი სწორედ ამ სტანდარტებსა და მნიშვნელობებს ეყრდნობა საზოგადო მნიშვნელობის პოლიტიკისა და პროგრამების შექმნისას. ეს ზოგადი პოლიტიკური სტრატეგიები და პროგრამები, ინდივიდუალურ დონეზე მუშაობის ნაცვლად, კლასიფიკაციებსა და კატეგორიებს იყენებს, რათა თავის სამიზნეებს უფრო მარტივად მიაღწიოს. სამოქალაქო უფლებების შემდგომ პერიოდში, როდესაც კანონი თითქოს რასობრივი წინასწარგანწყობებისაგან დაიცალა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანასწორი გახდა, ამ პროგრამების დიზაინში უკვე ძალიან იშვიათია ექსპლიციტური რასობრივი და გენდერული კლასიფიკაციების აღმოჩენა. სინამდვილეში, ისეთი სამარცხვინო ისტორიული ფაქტები, როგორცაა მილიონობით აფრიკელის დამონება, იაპონელთა და იაპონელ ამერიკელთა დატყვევების პრაქტიკა, კანონში არსებული რასობრივი სეგრეგაცია, ხმის მიცემის უფლების აკრძალვა, კონკრეტული ჯგუფების სავაჭრო ურთიერთობებიდან გამორიცხვა, კიდევ სხვა მრავალ შემთხვევასთან ერთად, ხშირად იმის სადემონსტრაციოდ გამოიყენება, თუ როგორი „სამართლიანი და თანასწორი“ გახდა

ადრინდელთან შედარებით ამერიკის შეერთებული შტატების კანონები და კულტურა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ დღეს, თანასწორი შესაძლებლობების ეპოქაში წარმოქმნილი უთანასწორობის შემთხვევები ინდივიდუალური წარუმატებლობის გამოხატულებაა და არა – სისტემური პრობლემის ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში სულ უფრო იშვიათია რასობრივი და გენდერული ნიშნით უფლებების ღიად ექსკლუზია, რასისა და გენდერის შესახებ არსებული მოსაზრებებით იმ პოლიტიკური სტრატეგიების ან პროგრამების მხარდაჭერა ხდება, რომელთა ექსპლიციტურ სამიზნეს რომელიმე ჯგუფი შესაძლოა არ წარმოადგენდეს, მაგრამ საბოლოოდ მათი მიზანი მაინც რასისტულ-სექსისტური იყოს. ამის კარგი მაგალითია ამერიკაში „კეთილდღეობის დედოფლების“ შესახებ განვითარებული დისკურსი, რომლის მიხედვითაც, შავკანიანი, მარტოხელა დედები კეთილდღეობის სისტემისგან მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით თითქოს „თაღლითურად“ იქცევიან. ეს სტერეოტიპული დისკურსი 1990-იან წლებში კონკრეტული საყოველთაო დახმარების პროგრამების გაუქმების მხარდასაჭერად გამოიყენეს.<sup>20</sup> რონალდ რეიგანმა შესანიშნავად ისარგებლა ამ მითიური სახე-ხატით, რათა კეთილდღეობის პროგრამების მოშლა გაემართლებინა. მისი მსჯელობა კეთილდღეობის სისტემების მიმართ ქალების თაღლითური ქცევების შესახებ ცრუ და გაზვიადებულ ერთეულ შემთხვევებს ეყრდნობოდა. <sup>21</sup> რასისტულ-სექსისტური სისტემების კიდევ ერთი მაგალითია იმიგრანტ ლათინურ-ამერიკელთა დემონიზაცია საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების გამართლების მიზნით. <sup>22</sup> აწმყოსა თუ წარსულში, ფერადკანიან იმიგრანტთა სხვადასხვაგვარი რეპრეზენტაციით იმაზე მინიშნება ხდება, თუ როგორ იკავებენ იმიგრანტები თეთრკანიანი ადამიანების და/ან მოქალაქეების კუთვნილ სამუშაო ადგილებს, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კვლევა არ იძლევა ამ დასკვნებისა და მსჯელობების საფუძველს. <sup>23</sup> ერთი შეხედვით ნეიტრალური, სინამდვილეში კი რასისტულ-გენდერირებული პოლიტიკის მხარდამჭერი სექსისტური და რასისტული სახე-ხატებით მანიპულირების მესამე მაგალითია, თუ როგორ მიაწერენ შავკანიანებს კრიმინალური ქცევებისკენ მიდრეკილებას. ამ მითების შექმნითა და გამოყენებით ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ გამოცხადებულ ომს ამართლებდნენ. ეს ომი კი, ადამიანების ჯგუფებისთვის განაჩენის გამოტანიდან დაწყებული, სოციალურ საცხოვრებელსა და უმაღლეს განათლებაზე

ხელმისაწვდომობის შეზღუდვებს მოიცავდა. მოსახლეობის დონის აღნიშნული პროგრამების გაძლიერება და მხარდაჭერა რასისტული და სექსისტური სახე-ხატების დახმარებით ხდება, რომლებიც მოსახლეობას ყოფს „ჩვენ“ და „სხვებად“ – ანუ ეროვნულ მოსახლეობად, რომელსაც დაცვა სჭირდება და მის შემადგენელ სხვებად, რომლებიც სწორედ ამ ეროვნული მოსახლეობის მტრებად და ტვირთად არიან წარმოდგენილნი. 24 კეთილდღეობის პოლიტიკის რეფორმის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ომის მხარდამჭერი კამპანიები მოსახლეობის რასობრივ-გენდერირებულ სახე-ხატებს ქმნიდა და ემყარებოდა. ამ კამპანიებში დიდი ხნის წინ შექმნილი რასისტული რეპრეზენტაციები გამოიყენებოდა. მაგალითად, თეთრკანიანი მოსახლეობისთვის იმგვარი თვისებების მიწერა, როგორიცაა პატიოსნება, ინტელექტი, პასუხისმგებლობის გრძნობა, დამოუკიდებლობა და შრომისმოყვარეობა. ხოლო ფერადკანიანი ადამიანების ამორალურებად, საშიშებად, სხვებზე დამოკიდებულებად, ზარმაცებად, მოძალადეებად, უცხოებად და დაბალი ინტელექტის მქონეებად წარმოჩენა.

ფუკო გვეხმარება, დავინახოთ, რომ მოსახლეობის დონის პროგრამებით სახელმწიფოებრიობის შექმნის პროცესი (რომელიც გადასახადებს, სამხედრო ვალდებულებას, სოციალურ კეთილდღეობას, განათლებას, იმიგრაციას მოიცავს) ყოველთვის მოიაზრებს დაყოფის შექმნას იმ სიცოცხლეებს შორის, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოს და რომლებიც ყურადღების მიღმა უნდა დარჩნენ, ამოიძირკვონ და გადაშენდნენ. მაშინაც, როცა ნარატივებში რასა და გენდერი ექსპლიციტურად არ სახელდება, ეს პროგრამები სახელმწიფოს შესახებ რასობრივ-გენდერირებული ცნებებით ოპერირებს და მოსახლეობას დასაწყისიდანვე ამ ორი განმსაზღვრელით მონიშნავს. აქედან გამომდინარე, მათ რასობრივი და გენდერირებული ზეგავლენა აქვთ. ეს პოლიტიკური სტრატეგიები და პროგრამები ცხოვრებისეულ შესაძლებლობებს მოსახლეობაზე გადაანაწილებს. ხოლო აქცენტი, ინდივიდუალურის ნაცვლად, **კონკრეტული მახასიათებლების მქონე ჯგუფებზე ისმება**. ამ პროგრამებსა და პოლიტიკურ სტრატეგიებს, რომელთაც რასობრივ და გენდერულ ნეიტრალობაზე აქვთ პრეტენზია, სინამდვილეში, რასობრივად და გენდერულად სპეციფიკური და საზიანო შედეგები მოაქვთ. მაგალითად, საყოველთაო დახმარების პროგრამებში მომხდარი ცვლილებები, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სასჯელის ზრდა,

საიმიგრაციო რეფორმები ისეა შემუშავებული, რომ მათი საზიანო შედეგები ყველაზე მეტად ქალებსა და ფერადკანიან ადამიანებს ეხება, განსაკუთრებით კი – ფერადკანიან ქალებს. პროგრამები და პოლიტიკური სტრატეგიები, რომელთა ინსტრუმენტი რასისტული და გენდერირებული სახე-ხატებია, იმ ადამიანებზეც იქონიებს გავლენას, რომლებიც მათ უშუალო სამიზნეს არ წარმოადგენენ. მაგალითად, თეთრკანიანი ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა, შესაძლოა, კეთილდღეობის სისტემის სარგებელი დაკარგოს, ან კი დეპორტაციის მსხვერპლი გახდეს. მიუხედავად ამისა, სოციალური დახმარების პროგრამების შემცირებისა თუ იმიგრაციის პოლიტიკის გამკაცრების მხარდასაჭერი კამპანიები რასისტულ სახე-ხატებს ეყრდნობა და, პირველ რიგში, სწორედ ფერადკანიან მოსახლეობას ვნებს. ასეთ სისტემებში კიდევ უფრო მოწყვლადნი ხდებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ღარიბები, ტრანსი ადამიანები, იმდენად, რომ ამ მახასიათებლების მქონე თეთრკანიანები რასისტული პოლიტიკური ცვლილებების შედეგებს საკუთარ კანზე გამოსცდიან. ხოლო იმავე მახასიათებლების მქონე ფერადკანიანი ადამიანები კიდევ უფრო დაუცველნი ხდებიან. შეუძლებელია, რომ ძალაუფლებისა და კონტროლის დასახელებული მეთოდები დისკრიმინაციის ინდივიდუალურ გამოვლინებებად წარმოვიდგინოთ, რადგანაც მსგავს შემთხვევებში ცალკეული ინდივიდები არ ირიყებიან მათი რასის ან გენდერის საფუძველზე. ამგვარი პოლიტიკა იმ ადამიანებზეც კი იქონიებს ზეგავლენას, რომლებიც მის პირველად სამიზნე ჯგუფში არ შედიოდნენ. ეს მაგალითები სულაც არ არის იმის დემონსტრირება, რომ განზრახ ქმედებასა და მის შედეგს შორის კავშირი არსებობს (რაზეც ინდივიდუალური / განზრახ ჩადენილი დისკრიმინაციის მოდელის ფარგლებშია საუბარი), და მაინც, ამ პოლიტიკური სტრატეგიების შედეგად მოსახლეობაზე შესაძლებლობები არათანაბრად ნაწილდება.<sup>25</sup> სასამართლოებმა, მედიამ, პოლიტიკის შემქმნელებმა, რომლებიც რასიზმსა და სექსიზმზე საუბრისას ინდივიდუალური განზრახვისა და მისი შედეგის ცნებების ფარგლებში ოპერირებენ, შესაძლოა, ამ პროგრამების რასისტულ-სექსისტურ ხასიათზე თვალი დახუჭონ და ისინი ნეიტრალურ-სამართლიან პროგრამებად წარმოაჩინონ, რეალურად კი რასობრივ-გენდერირებულ იდეებს ეყრდნობოდნენ.

სინამდვილეში, მოსახლეობის დონის ძალაუფლების ზემოქმედება უფრო ძლიერი შეიძლება იყოს, ვიდრე – ინდივიდუალური დისკრიმინაცია. ამის შემჩნევა აშშ-ში

სიმდიდრის რასობრივი ნიშნით გადანაწილებაზე დაკვირვებითაც შეგვიძლია. ინდივიდუალური / განზრახ ჩადენილი დისკრიმინაციის მოდელი დაგვარწმუნებდა იმაში, რომ ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად საკმარისი იქნებოდა იმ ადამიანების დასჯა, რომლებიც სამუშაო ადგილზე, ან კრედიტის გაცემისას, პიროვნებას დისკრიმინაციულად ეპყრობიან. ხოლო ამგვარი პრაქტიკების წინააღმდეგ ბრძოლა რასობრივად ნეიტრალურ და სამართლიან ეკონომიკურ სისტემას შექმნიდა. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივ ეკონომიკურ უთანასწორობას მოსახლეობის დონის ინტერვენციები ქმნის და კვლავაწარმოებს. ამ პოლიტიკური სტრატეგიების შედეგად, სიმდიდრე მცირე რაოდენობის თეთრკანიანების ხელში გადადის, ფერადკანიანი ადამიანების უმრავლესობას კი ეკონომიკური გაძლიერების საშუალება არ ეძლევა. ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებიდან, რასობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული ქონებრივი სტატუსების დამკვიდრებამ, რაც მონობის ხელშეწყობითა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწების წართმევის პრაქტიკებით ხდებოდა, თეთრკანიანი ადამიანების გამდიდრება და ფერადკანიანი მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია. თეთრკანიანობა გახდა სტატუსი, რომელიც ადამიანებს მონების ფლობის ძალაუფლებას ანიჭებდა და მათი შრომის შედეგად სიმდიდრის წყაროს ქმნიდა. ამ სტატუსის დახმარებით თეთრკანიან მოსახლეობას საშუალება ჰქონდა, თავის საკუთრებად გამოეცხადებინა მკვიდრი მოსახლეობისთვის ძალით წართმეული ქონება.<sup>26</sup> 1865 წელს, მონობის ოფიციალურად გაუქმების მიუხედავად, და ასევე ევროპელთა დასახლებების საწყისი ეტაპის შემდგომ პერიოდში, სახელმწიფოში დანერგილი პროგრამები და პოლიტიკური სტრატეგიები ფერადკანიანი ადამიანების სიღარიბეს, მათი მიწების მიტაცების პრაქტიკებსა და ეკონომიკურ ექსპლუატაციას ინარჩუნებდა.

სიმდიდრის რასობრივად სპეციფიკური გადანაწილების პრაქტიკა მთავარმა სახელმწიფო პროგრამებმა შეინარჩუნა და გააძლიერა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ფერადკანიან ადამიანებზე დიდი დეპრესიის შედეგებმა განსხვავებული ზემოქმედება იქონია, რადგანაც, ისინი სიღარიბეს განსხვავებული სიმძიმით გამოცდიდნენ, „ახალი კურსის“ პროგრამებს ძირითადი სარგებელი მაინც თეთრკანიანი მუშებისთვის მოჰქონდა. მაგალითად, სოციალური დაცვის აქტმა მილიონობით მუშა უზრუნველყო უსაფრთხოებით, თუმცა, ეს აქტი მის მიღმა

ტოვებდა საოჯახო და სოფლის მეურნეობებში დასაქმებულ მუშებს, რომელთა დიდ ნაწილს ფერადკანიანი ადამიანები წარმოადგენდნენ. 1935 წლის ვაგნერის აქტი თეთრკანიან მუშებს პროფესიულ კავშირებში კოლექტიური გარიგებების დადების უფლებას აძლევდა. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნულ პროფკავშირებს რასის საფუძველზე ადამიანების გარიყვისა და დისკრიმინაციის უფლება ჰქონდათ. ამ კოლექტივებში არსებული რასობრივი ბარიერები მაღალანაზღაურებად პოზიციებზე ხელმისაწვდომობას ამცირებდა და ისევ ინარჩუნებდა მოსახლეობაში სიმდიდრის არათანაბარ გადანაწილებას. ეს აქტი ასევე მიღმა ტოვებდა საოჯახო და სოფლის მეურნეობებში დასაქმებულ მუშებს. უთანასწორო პოლიტიკის კიდევ ერთი მაგალითია 1944 წლის **სამხედრო მოსამსახურეთა ადაპტაციის აქტი**, რომელიც ცნობილია როგორც G.I. Bill. ეს უკანასკნელი მრავალ თეთრკანიან ამერიკელ ომის ვეტერანს ეხმარებოდა კოლეჯში განათლებისა და საოჯახო თუ ბიზნესსესხის მიღებაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუმცა მისით ძალიან ცოტა ფერადკანიანი ვეტერანი სარგებლობდა, ამის მიზეზი კი კოლეჯებში, უნივერსიტეტებსა და ბანკებში გამეფებული რასიზმი იყო. ასევე, მრავალი ფერადკანიანი ახალგაზრდა კოლეჯისთვის არც იყო მზად, რადგანაც სეგრეგირებული სასკოლო განათლების სისტემის ფარგლებში, ხელი არ მიუწვდებოდა შესაბამის სავალდებულო, საჯარო განათლებაზე. შეიარაღებული ძალების ფერადკანიანი წევრების მოთხოვნების უარყოფის ან დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას „ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი“ იღებდა, რომელიც, ამავე დროს, „მხოლოდ თეთრკანიანთა ლეგიონსა“ და „საგარეო ომების ვეტერანებთან“ იყო ასოცირებული. **ჯიმ ქროუს კანონები**, აზიელთა გარიყვის კანონები, „წითელი ხაზის“ პრაქტიკა, გადასახადების კანონები, მიწის ნაკვეთების გაცემის სქემები, სხვადასხვა ხელშეკრულება, რომელიც მკვიდრი მოსახლეობისთვის მიწაზე საკუთრების უფლებას ზღუდავდა, და კიდევ სხვა მრავალი მოსახლეობის დონის სამთავრობო ინტერვენცია, სიღარიბის წარმოშობასა და კვლავწარმოებას განაპირობებდა. ხოლო საოჯახო და ბიზნესსესხის პროგრამები, მიწისა და საგანმანათლებლო გრანტები, სესხები და სახელმწიფო დახმარების პროგრამები ისევ და ისევ თეთრკანიან ადამიანთა სარგებლის წყაროდ რჩებოდა და რჩება, მათთვის სიმდიდრის შეგროვებითა და შენარჩუნებით. 27

მიმდინარე ცვლილება, რომლითაც სიმდიდრის დაბეგვრა სამუშაოდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრით ჩანაცვლდა, დღესაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ხელში სიმდიდრის შენარჩუნებას უწყობს ხელს. მაშინ როდესაც საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებამ, მასობრივმა დაპატიმრებებმა და მუშათა უფლებებზე, საყოველთაო ტრანსპორტირებასა და განათლებით უზრუნველყოფის სისტემებზე თავდასხმამ ფერადკანიანი ადამიანების სიღარიბის შენარჩუნება გამოიწვია. თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმდიდრის რასობრივი გადანაწილების საკითხის კვლევის არეალს შევზღუდავთ და ჩვენს ყურადღებას მხოლოდ ინდივიდუალურ რასისტ დამსაქმებლებსა და ბანკირებზე მივმართავთ, ამგვარად გამოვხატავთ, რომ პრობლემა მხოლოდ ამ რამდენიმე ადამიანის პასუხისმგებლობას უკავშირდება და, მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკა, რასობრივად სამართლიანი და ნეიტრალურია. ამგვარ მსჯელობას ხშირად თან ახლავს იმის მტკიცება, რომ საკუთარ სიღარიბეში თავად ფერადკანიანი ადამიანები არიან დამნაშავენი. ხოლო თუკი ზოგიერთი ფერადკანიანი ადამიანი ეკონომიკურად გაძლიერდება, თითქოს ეს იმის დასტურია, რომ რასიზმს ეკონომიკურ მონაწილეობასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ინდივიდუალური/მიზანმიმართული რასიზმის ეს მოდელი ძალაუფლების ისეთი ფორმების გავრცელების რეალური განზომილებებისა და მექანიზმების იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა, რომლებიც სიმდიდრეს, რასასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას ერთმანეთთან აკავშირებს. სიმდიდრის რასობრივი დაყოფის სრულფასოვნად ანალიზი მხოლოდ კონტროლის და გადანაწილების მოსახლეობაზე ორიენტირებული, რასობრივად ნეიტრალური მექანიზმების კვლევით შეგვიძლია. სხვაგვარი დამოკიდებულება ასეთ უთანასწორო გადანაწილებას ისევ რასიზმის გავლით ამართლებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მითხ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, კიდევ უფრო აძლიერებს ნარატივი, რომლის მიხედვითაც, წარსულში კანონები რასობრივად და გენდერულად დისკრიმინაციული იყო, ხოლო დღეს ისინი შეიცვალა. თითქოს, ახლა ყველაფერი სამართლიანი და თანასწორია. თუმცა, სინამდვილეში, ჩვენი ერი საკუთრებისა და შრომის რეგულირების საყოველთაო სისტემების მიერ შეიქმნა, რომლებიც დასაწყისშივე რასობრივ და გენდერულ კატეგორიებს ეფუძნებოდა. საყოველთაო პროგრამები, რომლებიც თავიდანვე გენდერული და რასობრივი

ექსკლუზიის მიზნით გამოიყენეს, დღემდე რასობრივი და გენდერული დაყოფის მიხედვით მოქმედებენ მოსახლეობისთვის უსაფრთხოებისა თუ დაუცველობის განცდის შექმნისას. თუმცა დღეს, ამას რასობრივი და გენდერული ნეიტრალურობის სახელით აკეთებენ. რასასა და გენდერთან დაკავშირებული რიტორიკა იცვლება, რამდენადაც ბრძოლა ენასა და სტრუქტურაზე ახდენს გავლენას, თუმცა, ის პოლიტიკური სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც მოსახლეობაში რესურსების მართვასა და გადანაწილებას უზრუნველყოფდა და სხვადასხვა რასობრივ-გენდერული ნიშნით უსაფრთხოებასა და მოწყვლადობას ქმნიდა, ისევ ძალაში რჩება.<sup>28</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების კეთილდღეობის სისტემის ისტორიულ მიმოხილვას რომ მივუბრუნდეთ, კიდევ ერთხელ დავინახავთ, რომ საყოველთაო პროგრამები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში რასობრივად და გენდერულად ნეიტრალური ხდებიან, ისევ განაგრძობენ რასობრივი და გენდერული ნიშნით ძალადობასა და ზიანის მიყენებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოსავლის დახმარების პროგრამებით ჯარისკაცების თეთრკანიანმა ცოლებმა ისარგებლეს. ეს პროგრამები „რასის კეთილდღეობის“ პოლიტიკური კამპანიების შედეგად შეიქმნა და განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა თეთრკანიან დედებს, რათა მათ ღირსეულ ოჯახებში ერისთვის თეთრკანიანი ლიდერები აღეზარდათ.<sup>29</sup> დამატებითი პროგრამების განვითარების კვალდაკვალ, ამერიკის შეერთებულ შტატებში საფეხურებრივი სახელმწიფო სარგებლის სისტემა ჩამოყალიბდა. მისგან, გარდაცვლილ ჯარისკაცთა ცოლები და სრულ განაკვეთზე დასაქმებული მუშები უფრო მაღალ სარგებელს იღებდნენ, ვიდრე ის მშობლები, რომელთაც მსგავსი სტატუსი არ გააჩნდათ. ხოლო შეზღუდული შესაძლებლობებისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო მიღებული ფულადი კომპენსაციის დონე შეესაბამებოდა დასაქმების სტატუსსა და იმ ანაზღაურებას, რაც შესაძლებლობების შეზღუდვამდე ან გარდაცვალებამდე დაფიქსირდა. ამ პროგრამების საფეხურებრივი სტრუქტურის შედეგად, სარგებლის ძირითადი წილი თეთრკანიან მოსახლეობაზე მოდის, რადგანაც სტრუქტურული რასიზმის გამო არაპროპორციულად მაღალი მაჩვენებელია მათი დასაქმებისა და ანაზღაურების მიმართულებით.



მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კეთილდღეობის სისტემაში არსებულ კანონებში რასისა და გენდერის კატეგორიები ექსპლიციტურად არ მოიხსენიება, ამერიკის შეერთებულ შტატებში საფეხურებრივი სოციალური კეთილდღეობის სისტემა (სხვა მრავალ ქვეყანასთან შედარებით, რომელშიც ეს სარგებელი მთლიან მოსახლეობაზე ვრცელდება), რეალურად, მოსახლეობის მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვან რასობრივად და გენდერულად უთანასწორო პირობებს ქმნის. ამ სისტემის ფარგლებში, კონკრეტული პროგრამები რასობრივად ისეა კოდირებული, რომ ისინი კრიტიკისათვის განსაკუთრებით სტიგმატიზებულნი და მოწყვლადნი არიან. დაბალშემოსავლიანი ბავშვიანი ოჯახების ფულადი დახმარების პროგრამა (Aid to Families with Dependent Children, AFDC), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციულად „კეთილდღეობის“ პროგრამის სახელით მოიხსენიება, მუდმივად იყო მედიის, აკადემიური წრეებისა და პოლიტიკოსების რასისტული და გენდერული კრიტიკის სამიზნე. ეს ჯგუფები „დამოკიდებული კულტურების“ მსგავს ცნებებს იგონებენ, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის სისტემების ბენეფიციართა პათოლოგიზება ხდება. თუკი ასეთ პროგრამას სახელმწიფოს სუბსიდირების სხვა პროგრამებს შევადარებთ, როგორცაა სოციალური დაცვა, ფერმის დახმარების პროგრამა ან კორპორაციული საგადასახადო შეღავათები, საფეხურებრივი კეთილდღეობის სისტემის პოლიტიკური განზრახვები ნათელია. ის მოსახლეობას რასის, გენდერისა და შემოსავლების მიხედვით ყოფს. კლინტონის მმართველობის პერიოდში, დაბალშემოსავლიანი ბავშვიანი ოჯახების ფულადი დახმარების პროგრამის კრიტიკასა და გაუქმებას ხელი შეუწყო მედიაში გაჩაღებულმა „თაღლითების“ „გამოაშკარავების“ პროცესმა (მედია ასეთ დროს დაუქორწინებელი შავკანიანი დედების რეპრეზენტაციას ახდენდა). ფერადკანიანი ადამიანების მხარდამჭერი პროგრამები კრიტიკისა და თავდასხმის სამიზნე გახდა და მათი დაფინანსება შეწყდა.<sup>30</sup>

მიუხედავად იმისა, რომ „კეთილდღეობის რეფორმა“ თეთრკანიანთა მრავალ ოჯახს აყენებს ზიანს, მან განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა მაინც იმ ფერადკანიან ოჯახებზე მოახდინა, რომელთა უფროსები, ძირითადად, ქალები იყვნენ. ეს კი კარგად ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საყოველთაო მხარდაჭერის სისტემის რასობრივ-გენდერირებულ სტრუქტურას და ნათელს ჰფენს იმ

რიტორიკას, რომელიც კამპანიის შედეგად აღმოცენდა. არასოდეს გამხდარა მსგავსი თავდასხმების სამიზნე თეთრკანიანთა ოჯახების მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც იმაზე მეტ სახელმწიფო ფინანსებს იყენებდა, ვიდრე – დაბალშემოსავლიანი ბავშვიანი ოჯახების ფულადი დახმარების პროგრამა.<sup>31</sup> პროგრამებზე თავდასხმებისთვის იდეალური კონტექსტი შექმნა იმ ფაქტმა, რომ საყოველთაო მხარდამჭერი სისტემები ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი დაფუძნებისთანავე იყო და არის საფეხურებრივი. ამას კი სოციალური კვლევის შედეგებიც დაემატა, რომლებიც შავკანიანთა ოჯახებს პათოლოგიურად მატრიარქალურად წარმოაჩენდა და ღარიბ ადამიანებს მათსავე სიღარიბეში ადანაშაულებდა. <sup>32</sup> იმავენაირად მოქმედებს მოსახლეობის დონის სისტემები, რომელშიც სტანდარტული და ჯანსაღი მოსახლეობის შესახებ იდეები ინერგება. სახელმწიფო მოსახლეობის კეთილდღეობას თითქოს მარგინალიზებული „სხვები“ საფრთხეს უქმნის და ტვირთად აწევს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვრივების დახმარების პროგრამის აუცილებლობაზე ადრეულ რიტორიკაში აშკარად იკვეთებოდა რასისტული მიდგომები, რადგანაც მუდმივად ხდებოდა ხაზგასმა, რომ თეთრკანიანი ქვრივების მიზანი შვილების აღზრდა და ამგვარად, „რასის მხარდაჭერა“ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მოგვიანებითაც, 1990-იან წლებში, დაზარალებული შვილების ოჯახების დახმარების პროგრამის მიმართ წინააღმდეგობის ფარგლებში განვითარდა მოსაზრება, რომ თეთრკანიან მოსახლეობას ზიანის მომტანი „სხვებისაგან“ დაცვა სჭირდებოდა, რომლებიც საზოგადოებას ტვირთად აწვნიენ, და რომელთა არსებობაც რასობრივი და გენდერული ნორმების საფრთხედ იყო წარმოჩენილი. ორივე მსჯელობა (და ასევე ყველა, რომელიც მათ შორის და მათ შემდეგ გაჩნდა), მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ეროვნულობის არტიკულირება რასობრივ-გენდერირებული გზით. შედეგად კი უნდა შექმნილიყო საყოველთაო პროგრამები, რომელთა სამიზნე არა ცალკეული ინდივიდი, არამედ – მთლიანი მოსახლეობა იქნებოდა და რომელზეც ცხოვრებისეული შესაძლებლობები გადანაწილდებოდა.

ამის მსგავსი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული უსაფრთხოების ის პროგრამები, რომლებიც იმიგრაციას, სისხლის სამართლის დანაშაულს, განათლებასა და ჯანდაცვას შეეხება. ამ პროგრამების შექმნისთანავე ერის

რასობრივ- გენდერირებული კონცეფცია იქმნება, სადაც სახელმწიფო მოსახლეობას ღარიბი ადამიანებისაგან, ფერადკანიანებისგან, იმიგრანტებისაგან და სხვა შიდა ან გარე „მტრებისაგან“ დაცვა სჭირდება. ერის ამგვარი გაგება დღემდე საფუძვლად უდევს და აყალიბებს ასეთ, უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ, მოსახლეობის დონის პროგრამებს, მაშინაც კი, როცა ადამიანთა გამორიცხვა ღიად აღარ ხდება. დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ფორმალური, სამართლებრივი თანასწორობა კანონს საფუძვლად დაედო, რასობრივი და გენდერირებული განსხვავებების ენა შეიცვალა. თუმცა, ეს პროგრამები ისევ იმავე მიზანს ემსახურება. ამ პროცესებში ჩართული ძალები კომპლექსური და მრავალჯერადია. კეთილდღეობის სისტემის ჩამოშლაში მხოლოდ პრეზიდენტ კლინტონს ან 1996 წლის კონგრესის მონაწილე სხვა ადამიანებს არ მიუძღვით წვლილი. არამედ, ეს პროცესი სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციის შედეგია, როგორცაა რასისტული და სექსისტური სტერეოტიპები, აკადემიურ კვლევასა და მედიაში რასისტული და გენდერული ნორმების გამოყენება, მილიონობით ამერიკელში რასის, გენდერისა და ეკონომიკის ინტერნალიზებული გაგება, და კიდევ მრავალი სხვა მიზეზი, რომელმაც აღნიშნული ცვლილებები გამოიწვია. მოსახლეობის მართვის ძალაუფლების კვლევა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, თუ როგორი კომპლექსურია რასისა და გენდერის ზემოქმედება ცხოვრებისეული შესაძლებლობების გადანაწილებაზე. ხოლო, კანონების მიღება და სხვადასხვა ჯგუფის ერთმანეთის „თანასწორად“ გამოცხადება, ამ პრობლემის გადაჭრის მიმართულებით არასაკმარისი მცდელობაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის სისტემის სწრაფი გაფართოება და განვითარება, კიდევ ერთხელ, ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის დონის ინტერვენციების გააქტიურებაში წვლილი რასობრივ-გენდერირებულ ნარატივებს მიუძღვის. სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულში ამერიკის შეერთებული შტატების ციხის სისტემის ოთხჯერ გაზრდა, უმეტესწილად, ისეთი კანონების მიღებამ განაპირობა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ფლობასა და ვაჭრობას უკავშირდებოდა. ამ საკანონმდებლო ცვლილებებისთვის ერთსულოვანი მხარდაჭერის მოპოვება კი ბანდებს შორის გაჩაღებული ბრძოლების და კოკაინის შესახებ არსებულ ემოციურ მედიარეპრეზენტაციებსა და პოლიტიკურ დისკურსს მოჰყვა. სკანდალური ამბების

გაშუქება, პოლიციური სატელევიზიო შოუებისა და ფილმების უეცარი სიმრავლე, ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ომის გამოცხადება – ყოველივე ეს შავკანიანთა თემების სტიგმატიზებას ახდენდა და შავკანიან ჯგუფებში ძალადობის ზრდაზე მიუთითებდა. პოლიტიკურმა სტრატეგიებმა და პრაქტიკებმა, რომლებიც ამ კამპანიებისა და რეპრეზენტაციების შედეგად შეიქმნა, ღარიბთა დასახლებებში პოლიციის კონტროლი გაზარდა. ფერადკანიანი და ღარიბი ადამიანების თვალთვალის, დაკავებისათვის მეტი ინსტრუმენტი გაჩნდა. მსგავსი პოლიტიკით, ნარკოტიკული საშუალებების ფლობის ან ვაჭრობისთვის გასამართლებული ადამიანების არსებობა და პოლიტიკური მონაწილეობა დგებოდა საფრთხის წინაშე. თუმცა, მათ სხვა დანარჩენი უფლებებიც ეზღუდებოდათ, მათ შორის, სახელმწიფო საცხოვრებლის, სტუდენტური სესხებისა და კონკრეტულ შტატებში, ხმის მიცემის უფლება.<sup>33</sup> ზოგადად, სისხლის სამართლის სისტემა წარმოგვიდგება, როგორც სისტემა, რომელიც აქცენტს დანაშაულებრივი ქმედებისათვის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე აკეთებს. თუმცა, მოსახლეობის დონეზე გატარებული ღონისძიებები, რომლებიც „საფრთხისა“ და „ტვირთის“ ცნებებს ეყრდნობა, განსხვავებულ სისტემას ქმნის. ასეთი სისტემის სამიზნე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები და მოვაჭრეები კი არ არიან, არამედ – ფერადკანიანი ადამიანების ჯგუფები (მოსახლეობის დონეზე). როგორც ენჯელა დევისის ნაშრომში ვხვდებით, ამ მიდგომებით, ამერიკის შეერთებული შტატების დაფუძნებისთანავე, დასჯისა და პატიმრობის პრაქტიკები მკვიდრდებოდა. ხოლო ამ პროცესში იმგვარი სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენებოდა, რომლებიც ტრადიციული მონობის გაუქმებიდან, გვიან 1880-იან წლებში სისხლის სამართლის სასჯელით შეიცვალა.

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ძალაუფლების დისციპლინური რეჟიმი და მოსახლეობის დონის კონტროლი. დისციპლინის დონეზე ჩვენ, ყველანი ვსწავლობთ, თუ როგორ მოვიქცეთ სწორად. „შესაბამისი“ ქცევა კი სხვადასხვა გზით დაისწავლება. ჩვენ გვსურს და იმისთვის ვიბრძვით, რომ ამ სტანდარტებს რაც შეიძლება მეტად მივუახლოვდეთ (ამისთვის ჩვენს კუთვნილ, ალტერნატიულ სუბკულტურულ ნორმებსაც კი ვიგონებთ). ჩვენ ასევე სხვებსაც წავახალისებთ და ვაიძულებთ (მათ შორის, შვილებს, თანამშრომლებს, ჩვენ მიერ არჩეულ ხელისუფლებას), რომ ამ წესებს დაემორჩილონ. დისციპლინურ დონეზე, ამ

ნორმებთან შესაბამისობა, ან შეუსაბამობა, ინდივიდუალური, პირადი საკითხია. ჩვენ, შესაძლოა, შეგვარცხვინონ ან გაგვრიყონ არაპროფესიონალურად ჩაცმის, თეთრკანიანთა კულტურულ ნორმებთან შეუსაბამობის გამო, ძალიან დიდად ან პატარად ყოფნისთვის, ძალიან ხმამაღლა ან ხმადაბლა საუბრისთვის, ზედმეტი გულისხმიერების ან ზედმეტი ძალადობის, ზედმეტი ფემინურობის ან ზედმეტი მასკულინობის გამოხატვის გამო.

თუმცა, მოსახლეობის დონეზე, ძალაუფლება სხვაგვარად მუშაობს და ინდივიდუალური ქცევა მისი სამიზნე არ არის. მას არც მოწყვლადობის თავიდან არიდება შეუძლია. ძალაუფლების ეს ტიპი კონტროლისა და დისტრიბუციისთვის იმგვარ პირობებს ქმნის, რომლის ზეგავლენა ცალკეული ადამიანების ინდივიდუალურ ქმედებებზე არაა დამოკიდებული. ისეთ თემებში ცხოვრება, სადაც გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებები ზეგავლენას ახდენს სკოლების, ჯანდაცვის სისტემის, საცხოვრებლისა და სხვა ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, სადაც მომწამვლელი საწარმოებია და სადაც პოლიციური რეჟიმის გამო მრავალ ადამიანს ავიწროებენ და აკავებენ (იმგვარი ქმედების გამო, რაც შეიძლება ისეთ ჯგუფებთანაც ასეთივე სიხშირით გვხვდება, რომლებიც ამგვარი თვალთვალის ქვეშ არ ცხოვრობენ), მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენს და აქ მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არა აქვს, იქცევინ თუ არა ცალკეული ინდივიდები ნორმების შესაბამისად. ასევე, შეიძლება საპირისპირო სიტუაციაც წარმოვიდგინოთ: იმ თემებში, რომლებშიც მაღალი ხარისხის სერვისები, სუფთა ჰაერი და წყალია ხელმისაწვდომი, და სადაც ადგილობრივი მოსახლეობა პოლიციის შევიწროებისგან და სისხლის სამართლის სისტემისგან მეტწილად თავისუფალია, ადამიანებმა, იმისდა მიუხედავად, იცავენ თუ არა სოციალურ ნორმებს, შეიძლება საყოველთაო ჯანდაცვა და უსაფრთხოება მაინც შეინარჩუნონ.

თუკი ამ ორ თემს მაგალითების საშუალებით ერთმანეთს შევადარებთ, ცხადი გახდება, თუ როგორ მუშაობს მოსახლეობის დონის ძალაუფლება. ამ ორ თემში მცხოვრები მოზარდებისა და ზრდასრულებისათვის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას ერთნაირი შედეგები არ ექნება. უფრო ღარიბ თემებში მცხოვრები

მოზარდების ქცევითი პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში, სკოლა პრობლემის გადასაჭრელად პოლიციას მიმართავს (თუკი ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ მისულა), მაშინ როდესაც უფრო მდიდარ თემებში, ახალგაზრდების პრობლემური ქცევის გადაჭრას მშობლები და სკოლა მათთვის სპეციალური დისციპლინის შემოღებით, ნარკოტიკული დამოკიდებულების წინააღმდეგ კერძო მკურნალობით ან თერაპიით შეეცდებიან. მდიდარ თემებში მცხოვრებ ადამიანებს ნარკოტიკის შეძენა და გამოყენება უფრო მეტად შეუძლიათ პოლიციის ზედამხედველობისაგან თავისუფალ, კერძო სივრცეებში, ასევე, ნარკოტიკულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა უფრო მაღალია და შეუძლიათ, უფრო უსაფრთხო, ნაკლებად კრიმინალიზებული არხებიდან მიიღონ, როგორცაა, მაგალითად, ექიმის დანიშნულება. კიდევ ერთი მაგალითია ის მშობლები, რომელთაც თავიანთი შვილების საჭიროებები უგულებელყვეს. ეს მშობლები ერთნაირ პირობებში არ იმყოფებიან. ბავშვთა დაცვის კეთილდღეობის სისტემის ფარგლებში, ფერადკანიანთა და ღარიბთა ოჯახები არაპროპორციულად არიან შერჩეული. 34 ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს ასევე განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. კერძო მკურნალობის ჩატარების ფინანსური შესაძლებლობა დიდ შედეგს იძლევა. ხოლო ნორმებთან შეუსაბამო ქცევისთვის პოლიცია უფრო ხშირად ფერადკანიან და ღარიბ ადამიანებს ჩაგრავს და აკავებს [ვისაც არა აქვს კერძო მკურნალობის საშუალება]. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო მოქალაქედ, მეზობლად, კაცად, ქალად, სტუდენტად ან მუშად ყოფნისთვის საჭირო თვისებების შესახებ ნარატივი დისციპლინურ წესებზე ახდენს გავლენას, ეს ნორმები მოსახლეობის დონის ინტერვენციების ხელშესაწყობად გამოიყენება და მათი გავლენა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე განსხვავდება. ძალაუფლების ამ ორი ვექტორის განსხვავებული, მაგრამ ურთიერთგადამკვეთი ზემოქმედების გაგება ტრანსფობიის, რასიზმის, ეიბლიზმის, ქსენოფობიის, სექსიზმისა და ჰომოფობიის მოქმედების გეგმისა და ზეგავლენის ზუსტი ანალიზისათვის, ისევე როგორც წინააღმდეგობის მეთოდების კონცეპტუალიზებისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია.

აღან ფრიმენის დამნაშავის პერსპექტივის განმარტების თანახმად, სამართალში ძალიან ვიწროდ გაიგება რასიზმი და მისი ფუნქციები (ასევე, კონტროლისა და

რესურსების არასწორი გადანაწილების სხვა ფორმები): კანონდარღვევად მხოლოდ ინდივიდუალური მიზანმიმართული დისკრიმინაციის შემთხვევა ითვლება. 35 რასიზმის ამგვარი ვიწრო გაგება ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვე გამოცდილებებს ბუნებრივ, თავისთავად მოვლენებად წარმოაჩენს და ხელს უწყობს იმ პირობებისა და მიზეზების წაშლას, რამაც სხვადასხვა ჯგუფი უთანასწორო პირობებში ჩააგდო. როგორც ანტიდისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ არსებული კანონების ისტორიის მიმოხილვა გვიჩვენებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რასიზმის განმარტებისა და აღმოფხვრისათვის დამნაშავის პერსპექტივის გამოყენება მხოლოდ ფორმალურ სამართლებრივ თანასწორობას წარმოშობს. საკანონმდებლო ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს პრაქტიკულ დონეზე სიმდიდრისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების იმგვარად გადანაწილებას, რომ თეთრკანიანთა პრივილეგიზაციის შედეგები შეამციროს. ფორმალური სამართლებრივი თანასწორობა მხოლოდ იმის ცვლილებას გულისხმობს, თუ პირდაპირ რას ამბობს კანონი კონკრეტულ ჯგუფზე. თუმცა, ამ მოდელების ფარგლებში ყურადღება არასოდეს მახვილდება იმ საკითხზე, როგორ ქმნის სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური პრაქტიკები მოსახლეობის ჯგუფებისათვის უთანასწორო პირობებს, რასიზმის, სექსიზმის, ეიბლიზმის, ტრანსფობიის, ქსენოფობიისა და ჰომოფობიის გამოყენებით, კონკრეტული ადამიანების ინდივიდუალური დისკრიმინაციის გარეშე.

# დისციპლინა, მოსახლეობის მართვა და ტრანსტა მოწყვლადობა

დისციპლინისა და მოსახლეობის მართვის ძალაუფლების ანალიზი ტრანსი ადამიანების სტრუქტურული დაუცველობისა და შემოკლებული სიცოცხლის

ხანგრძლივობის მიზეზების კვლევის საშუალებას მოგვცემს. იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც ძალაუფლების ამ ორი რეჟიმის წიაღში წარმოიშობა, ხშირად, საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში შეუძლებელია. ხოლო ძალაუფლების ამ ორი ფორმის ფუნქციონირების გააზრება იმის იდენტიფიცირებაში დაგვეხმარება, თუ რატომ არ უმჯობესდება ტრანს ადამიანთა მდგომარეობა მაშინაც კი, როცა კონკრეტული საკანონმდებლო რეფორმებისთვის ბრძოლა წარმატებით სრულდება. ორივე მათგანის ანალიზის აუცილებლობის მიუხედავად, ტრანს თეორიასა და აქტივიზმში, მოსახლეობის დონის ინტერვენციებთან შედარებით, უფრო მეტი ყურადღება დისციპლინურ გენდერულ ნორმებს დაეთმო. ტრანსმა აქტივისტებმა და მეცნიერებმა გამოავლინეს, თუ როგორ გახდა ამ იდენტობის მედიკალიზაციამ ტრანსი ადამიანები იძულებული, დამორჩილებოდნენ მკაცრ, დისციპლინურ გენდერულ ნორმებს, სამედიცინო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. მათ ასევე ყურადღება გაამახვილეს, თუ როგორ ახდენს გავლენას დამსაქმებლებზე გენდერული ნორმები, როცა საქმე ტრანსი აპლიკანტების შერჩევას ან მათ სამსახურიდან დათხოვნას შეეხება; როგორ ხდება ეს ნორმები სოციალურ სერვისებში, ოჯახებსა თუ რელიგიურ ორგანიზაციებში ტრანსი ადამიანების მიტოვების ან მათი შეურაცხყოფის მიზეზი. ასევე, როგორ განსაზღვრავს გენდერული ნორმები ტრანსი ადამიანების ცხოვრებას თემის შიგნითაც კი – გენდერული ნორმები ტრანს იდენტობის ნორმირებასაც ახერხებს, და მათ ხშირად ერთმანეთისა თუ ჩვენივე წინააღმდეგაც კი ვიყენებთ. მოსახლეობის დონის ინტერვენციებში ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მოწყვლადობის მიზეზები ნაკლებად შესწავლილია და ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს,

მოსახლეობის მართვის ძალაუფლების რეჟიმზე მსჯელობა, შესაძლოა, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის ანალიზში დაგვეხმაროს. პირველ რიგში, შეგვეძლება დავინახოთ, თუ როგორ იყენებს ნებისმიერი სახის ინსტიტუტი (მაგალითად, სკოლები, საავადმყოფოები, ავტოტრანსპორტის განყოფილებები, დამსაქმებლები, საგადასახადო სისტემები, ციხეები, კეთილდღეობის სისტემები, თავშესაფრები და მცირე საოჯახო სახლები, ტრანსპორტირების სისტემები) გენდერს, როგორც მათი პოლიტიკის აღსრულებისთვის აუცილებელ კატეგორიას. მეორე, შეგვიძლია,



მოსახლეობის დონის ინტერვენციების (მაგალითად, ციხის სისტემის გაფართოება, ტერორიზმისა და ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ომი, საიმიგრაციო პოლიტიკის გაძლიერება, კეთილდღეობის სისტემის პროგრამების შეწყვეტა) რასობრივ-გენდერირებული მახასიათებლები ტრანსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების პერსპექტივიდან დავინახოთ. საბოლოოდ კი, წინააღმდეგობისა და მავნე პრაქტიკების ტრანსფორმაციის სტრატეგიების ფორმულირებას შევძლებთ. იმ მავნე პრაქტიკებისა, რომლებიც გენდერული და რასობრივი ნორმების საშუალებით საფრთხეში აგდებს ტრანსი ადამიანების სიცოცხლეს.

ამ მიმართულებებით კვლევისა და პრაქტიკის განხორციელება სამართლებრივი უფლებების ჩარჩოებიდან გამოსვლას და მის მიღმა აზროვნებას მოითხოვს. სამართლებრივი უფლებებისთვის ბრძოლა მარგინალიზებული ჯგუფების ბუნებრივ და გარდაუვალ მიზნად არის მიჩნეული. და ბრძოლის ეს მოდელი უკანასკნელ ათწლეულებში ლესბოსელთა და გეი ადამიანთა უფლებების რეფორმის მცდელობებს ეფუძნება. აღიარება, რომ კანონში ამა თუ იმ ჯგუფის ექსპლიციტური სახელდება ვერ დაიცავს ამ ჯგუფს მის წინაშე მდგარი სტრუქტურული დაუცველობისაგან, მაშინვე წამოჭრის კითხვას უფრო ფართომასშტაბიანი ცვლილებების საჭიროების შესახებ. ასეთი ცვლილებები კი სამართლებრივი აღიარებითა და ინკლუზიით ვერ მიიღწევა. ხშირად პირიქითაც ხდება, ამგვარი საკანონმდებლო მოთხოვნები უფრო მეტად აძლიერებს ზიანის მომტან სისტემებს, ლეგიტიმურობას სძენს მათ და ეხმარება, ადამიანებს სამართლიანობისა და თანასწორობის ილუზია შეუქმნან. ასეთი ზედაპირული ცვლილებები ამყარებს „შიდა მტრებად“ და „ტვირთად“ აღქმული ადამიანების წინააღმდეგ არსებულ მიდგომებს და საზოგადოების „სასურველ“ და „არასასურველ“ ჯგუფებად დაყოფის პროცესს, რომელიც მხოლოდ პრივილეგირებულთა ინტერესების დაცვას ემსახურება.

ეს უფრო ნათელი გახდება, თუკი ლესბოსელთა და გეი საკანონმდებლო ინიციატივებს განვიხილავთ სისხლის სამართლის სფეროში. ეს საკანონმდებლო ინიციატივები სოლომონის დეკრიმინალიზაციისა და სექსუალური ორიენტაციის

საფუძველზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ კანონების მიღებას მოიცავდა. ამ ორი მიზნის დასახვა მიუთითებს „რას ამბობს კანონი ჩვენ შესახებ“ მიდგომის არსებობაზე. თუკი ამ ჯგუფების მუშაობის მიზანი ლესბოსელი და გეი პატიმრების რაოდენობის შემცირება, ან პატიმრობაში მყოფი ქვიარ ადამიანების სამედიცინო საჭიროებების უზრუნველყოფის, შიმშილობის, გაუპატიურების ან სიცოცხლის მოსპობის პრობლემების შემცირება იქნებოდა, მაშინ სამართლებრივი სტრატეგიაც შეიცვლებოდა. ამ სტრატეგიით მოხდებოდა პატიმრების მხარდაჭერა, აღიძვრებოდა სარჩელები ციხეში არსებული პირობების გამო, წინააღმდეგობა გაეწეოდა ნარკოტიკულ საშუალებებსა და სხვა კრიმინალურ ქცევასთან დაკავშირებით ადამიანების (მათ შორის, ლესბოსელი და გეი ადამიანების) დაპატიმრების პრაქტიკებს, ბრძოლა გამოცხადდებოდა პოლიციური ძალადობის, ციხის სისტემის გაფართოებისა და კრიმინალიზაციის წინააღმდეგ, აგრეთვე, სტრატეგია, ალბათ, შეუერთდებოდა ციხის ლიკვიდაციის მცდელობებს.

ამის სანაცვლოდ კი, შედარებით დიდი რესურსების მფლობელმა ლესბოსურმა და გეი ორგანიზაციებმა თავიანთ პოლიტიკურ მიზნად სისხლის სამართლის იმ ნაწილის რეფორმირება აირჩიეს, სადაც ლესბოსელი და გეი ადამიანები დამნაშავეებად ექსპლიციტურად მოიხსენებიან იმგვარი ქცევის გამო, რომელიც ჰომოსექსუალობასთან ასოცირდება. ასევე, ეს ორგანიზაციები ლობირებენ იმ მოსახლეობების რიგებში შესვლას, რომელთაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა ექსპლიციტურად (მაგრამ არა პრაქტიკის დონეზე) იცავს. ეს მიდგომა ჰომოფობიის მხოლოდ ექსპლიციტურ და განზრახ მოქმედებას შეეხება, რომელიც ღიადაა კანონში ჩაწერილი. ხოლო სისხლის სამართლის სასჯელის დისტრიბუციული ხასიათი ყურადღების მიღმა რჩება. იმის კვლევა, თუ როგორ წარმოშობს სისხლის სამართლის სფერო უთანასწორო პირობებს, კრიმინალიზებული გეი და ლესბოსელი ადამიანების ცხოვრებისეული შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის ბრძოლის სხვაგვარ ტაქტიკებს გვიჩვენებდა. როგორც მეორე თავში აღვნიშნავდი, ეს სტრატეგიები არათუ ვერ აუმჯობესებს იმ ადამიანების ცხოვრებას, რომელთა დაცვაც მიზნად დაუსახავს, არამედ, პირიქით, სისხლის სამართლის სისტემას მეტად აძლიერებს. ასეთი მიდგომა სისხლის სამართლის სფეროს სამართლიანად და ნეიტრალურად

წარმოაჩენს და ამ სისტემის ნამდვილ მიზანს ნიღბავს. ნაცვლად იმისა, რომ ძალადობის პირველწყაროდ იდენტიფიცირდეს, სისხლის სამართლის დამსჯელობითი სისტემა ძალადობისგან დამცველის როლში გვევლინება. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში, მსგავსი სტრატეგიები დასჯის რესურსებსა და შესაძლებლობებს ზრდის კიდევაც. სოლომონის დეკრიმინალიზაცია და სექსუალური ორიენტაციის ჩამატება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონებში, ნიშნავს კი იმას, რომ სისხლის სამართლის სისტემა ჰომოფობიისგან გათავისუფლდა? რა თქმა უნდა, არა. თუმცა, სისხლის სამართლის სისტემის სწორხაზოვანი დღის წესრიგი ამ დაპირებას იძლევა.

ამ სტრატეგიის მეორე საფრთხე ისაა, რომ იგი ლესბოსელ და გეი ადამიანებს შორის რასობრივ და კლასობრივ განსხვავებებს ეფუძნება და ამ განსხვავებებს კიდევ უფრო აძლიერებს. ეს განსხვავებები კი სისხლის სამართლის სისტემაში ყოფნის გამოცდილებასა და მის მიმართ არსებულ შეხედულებებთანაა დაკავშირებული. პოლიციური რეჟიმისა და პატიმრობის არასამიზნე, თეთრკანიანთა დასახლებების მცხოვრებთათვის სისხლის სამართლის სისტემა, შესაძლოა, დამცველ სტრუქტურადაც კი მიიჩნეოდეს. მის ხარვეზად კი მხოლოდ ვიწრო ინკლუზიისა და ექსკლუზიის საკითხები იყოს დანახული. იმ გეი და ლესბოსელი ადამიანებისათვის, რომლებიც პოლიციის მხრიდან შევიწროებისა და ძალადობის შიშში ცხოვრობენ, რომელთა ოჯახის წევრები პატიმრობაში არიან, ან მუდმივად ხდებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის დამსჯელი სისტემების სამიზნენი, სისხლის სამართალში ზემოთ დასახელებული ცვლილებები, შესაძლოა, ძალზედ უმნიშვნელო და არასაკმარისი იყოს და სხვა დღის წესრიგი ჰქონდეს. მათ, შეიძლება, ისეთი სტრატეგიები დასახონ, რომლებიც დაპატიმრების პრაქტიკების აღმოფხვრას ემსახურება, ან პატიმრებს იცავს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები, რომლებიც ზიანის მომტან სისტემებს ებრძვიან და მოსახლეობაზე მათ ზეგავლენას აღიქვამენ, კიდევ უფრო მეტად იაზრებენ, თუ რა საფრთხე შეიძლება ახლდეს ისეთ რეფორმებს, რომლებიც ეჭვქვეშ არ აყენებენ და უპირობოდ იღებენ იმ სისტემებს ისეთად, როგორადაც ისინი ჩვენ წინაშე წარდგებიან. როგორც უკვე განვიხილეთ, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკანონმდებლო რეფორმა სისხლის სამართლის სისტემაში ჯარიმებისა და რესურსების გაზრდის საფრთხეს ქმნის. 36 მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებები

იმ ჯგუფების საქმიანობას ეწინააღმდეგება, რომლებიც პოლიციურ რეჟიმსა და პატიმრობის პრაქტიკებს ებრძვიან, მათ შორის არიან ფერადკანიანები, შშმ პირები და ღარიბი მოსახლეობა.

იგივე წინააღმდეგობები წარმოიშვა სხვა შემთხვევებშიც, როდესაც ლესბოსელებისა (რომელთაც სათავეში, ძირითადად, თეთრკანიანი ადამიანები ედგნენ) და გეი ადამიანების (ზოგჯერ კი, ტრანსი) ორგანიზაციები იმ სისტემებისგან ჩართულობას ან აღიარებას მოითხოვდნენ, რომლებიც ფემინისტმა, რასობრივი სამართლიანობისა და შესაძლებლობების მიმართულებით მომუშავე აქტივისტებმა და მკვლევებმა ცხოვრებისეული შესაძლებლობების არათანასწორი გადანაწილების საკვანძო ელემენტებად მიიჩნიეს. ასეთივე განხეთქილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამსახურის და ქორწინების უფლების მოთხოვნამ. ისინი, ვინც იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამსახური სისტემური გაუპატიურების, კოლონიზაციის, მიწისა და რესურსების მითვისების, გენოციდისა და სხვა რასისტულ-გენდერული ძალადობის პირველადი წყაროა, სერიოზულ შეცდომად მიიჩნევენ პოზიციას, რომ ლესბოსური და გეი პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილი სამხედრო სამსახურის ინკლუზიურობა უნდა იყოს, მისი დემილიტარიზაციის ნაცვლად. ანალოგიურად, ისინი, ვინც სახელმწიფოს მხრიდან ჰეტეროპატრიარქალური სექსუალობისა და ოჯახის სტრუქტურების წახალისებას და ამ სისტემების მიღმა დარჩენილთა დასჯას ეწინააღმდეგებიან, თვლიან, რომ ლესბოსელი და გეი ადამიანების მიერ ქორწინების ინსტიტუტის აღიარების მოთხოვნა (მისი დამხობის და გადანაწილების უფრო სამართლიანი გზების ძიების ნაცვლად) პრობლემური საკითხია. ეს ისტორიული წინააღმდეგობები და პოლიტიკური გადაწყვეტილებები ნეოლიბერალიზმის აღზევებასთანაა კავშირში, რომელიც 1960-იან და 70-იან წლებში სოციალური მოძრაობების აღმოცენების ფონზე მოხდა, რაც უკვე პირველ თავში განვიხილეთ.

სტოუნვოლის პერიოდის გეი პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა რასობრივი სამართლიანობის, ფემინიზმის, ანტიკოლონიალიზმისა და ზოგადად დემილიტარიზაციის მოთხოვნები. ეს საკითხები მრავალმა ძლიერმა მოძრაობამ წამოსწია წინ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე. ამ პერიოდში მრავალი

ჯგუფი და ინდივიდი აკრიტიკებდა პოლიციურ რეჟიმს, იმპერიალიზმს, სოციალურ ნორმებსა და სისტემურ პატრიარქატს (მათ შორის, ქორწინების ინსტიტუტს). მას შემდეგ, რაც ამ მოძრაობების მიმართ წინააღმდეგობა გაიზარდა და „კანონისა და წესრიგის“ პოლიტიკა აღმოცენდა მოძრაობების არასამთავრობო ორგანიზაციებად გარდაქმნასთან ერთად, ახლად კონსერვატიზებულმა ლესბოსურმა და გეი პოლიტიკამ ჰომოფობიის საწინააღმდეგო საჯარო დისკურსში დომინანტური ადგილი დაიკავა. ამ პოლიტიკაში წარმმართველი იყო ინკლუზიისა და აღიარების მოთხოვნები, კერძოდ, ქორწინების ინსტიტუტის წინაშე სამართლებრივი თანასწორობა, სოდომიის დეკრიმინალიზაცია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, სამხედრო ინკლუზია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონების გატარება. 1960-70-იანი წლების ფართო, მოსახლეობაზე ორიენტირებული სოციალური მოძრაობების ჩარჩოები შეიცვალა და რასიზმის, ჰომოფობიის, ებლიზმისა და სექსიზმის ინდივიდუალური, დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ჩარჩოთი ჩანაცვლდა, როგორც სამართლის, ისე პოპკულტურის სფეროში. აქამდე ამ მოძრაობების მიერ მიღწეული შედეგი ისეთი სამართლებრივი რეფორმები იყო, რომლებიც, თანასწორობის, ინდივიდუალობისა და მრავალფეროვნების სახელით, კვლავ ინარჩუნებს და ხშირად ამლიერებს კიდევაც ჯგუფებს შორის უთანასწორო პირობებს.<sup>37</sup>

ტრანს პოლიტიკის განვითარებასთან ერთად, ტრანს აქტივისტებიც მსგავსი არჩევანის წინაშე დგებიან. ინკლუზიისა და აღიარების მოთხოვნები, რომელიც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონს უკავშირდება, ტრანს უფლებებისთვის საკანონმდებლო ბრძოლის ბუნებრივ მიზნებად წარმოგვიდგება. ამის მიზეზი ის არის, რომ პირველ რიგში ეს დღის წესრიგი ლესბოსური და გეი მოძრაობების ბრძოლის სტრატეგიებს ეფუძნება და, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი იზიარებს მითს, რომ რასობრივი სუბორდინაცია ამგვარმა სტრატეგიებმა დაასრულა. ამის მიუხედავად, ფერადკანიანმა ქალმა ფემინისტებმა, შშმ საკითხებზე მომუშავე კრიტიკულმა მკვლევრებმა და აქტივისტებმა, ასევე რასიზმის საკითხებზე მომუშავე თეორეტიკოსებმა, მრავალ სხვა ადამიანთან ერთად, რომლებიც ქვიარ და ტრანს წინააღმდეგობრივ ბრძოლებში იყვნენ ჩართულნი, აღნიშნეს, თუ რა შეზღუდვები

აქვს ამ სტრატეგიებს. ამ კრიტიკული პერსპექტივებიდან კონტროლის, დისტრიბუციისა და ძალაუფლების ანალიზმა ნათელი მოჰფინა კანონის რეფორმის არაეფექტიან სტრატეგიებს (რომლებიც დღეს საკმაოდ წარმატებულად ითვლება). ამ თვალსაზრისების მიხედვით შეიქმნა თეორია, რომელშიც ტრანსფორმაციული ცვლილების განხორციელების მიზნით კანონის რეფორმა ძირითად ან ცენტრალურ ამოცანად არ უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ ეჭვი უნდა შევიტანოთ იმაში, რას ამბობს კანონი საკუთარ თავზე და ვიფიქროთ იმაზე, რომ კანონის მიერ ჩვენი განსაზღვრება მნიშვნელოვანია. ჩვენ ვერ დავისახავთ მიზნად, კანონი ვაიძულოთ, „ცუდის“ ნაცვლად „კარგ“ რამეებს მოჰყვეს მარგინალიზებული, კრიმინალიზებული, გაღარიბებული, ექსპლუატირებული და გადასახლებული ადამიანების შესახებ. კანონის რეფორმა და „უფლებების“ მოპოვების მცდელობები ხშირად ლეგიტიმურობას სძენს და ხელს უწყობს ისეთ სისტემებს, რომლებსაც სწორედ იმ ფორმის ზიანი მოაქვთ, რომლის აღმოფხვრაც ჩვენი ბრძოლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. თუკი ჩვენს თვალსაწიერს იმგვარად შევზღუდავთ, რომ ამან შეუძლებელი გახადოს უფრო სამართლიანი სამყაროს წარმოდგენა, და თუკი სამართლიანობაზე ჩვენს წარმოდგენას მხოლოდ შეერთებული შტატების სამართლებრივ სისტემამდე დავავიწროებთ, სისტემამდე, რომელიც კოლონიალიზმსა და მონობაზეა დაფუძნებული, სიღრმისეული ცვლილებების ნაცვლად, ისევ არსებულ წყობილებას შევინარჩუნებთ. მოსახლეობის მართვის ძალაუფლების ანალიზი ქმნის სივრცეს, გადავიაზროთ ეს ზიანის მომტანი სისტემები, ის, თუ რა მიზნები და მეთოდები უნდა ავირჩიოთ ჩვენი მოქმედებისთვის და როგორ ვაქციოთ სასურველი ცვლილება სტრატეგიად.

# NOTES:

1. მიშელ ფუკო, „სექსუალობის ისტორია“, გვ. 136, 1978.
2. ალან დევიდ ფრიმანი, „რასობრივი დისკრიმინაციის ლეგიტიმაცია ანტიდისკრიმინაციული კანონით: უზენაესი სასამართლოს დოქტრინის კრიტიკული მიმოხილვა“, გვ. 29-45, 1996.
3. მიშელ ფუკო, „სექსუალობის ისტორია“, გვ. 136.
4. მე ვეყრდნობი ფუკოს მიერ დისციპლინისა და ბიოპოლიტიკის თეორიზებას. იხილეთ „სექსუალობის ისტორია“; მიშელ ფუკო, „საზოგადოება დაცული უნდა იყოს: ლექციები საფრანგეთის კოლეჯში 1975-76 წლებში“, 2003; მიშელ ფუკო, „უსაფრთხოება, ტერიტორია და მოსახლეობა“, 2009.
5. ევა ჩერნიავესი, რომელიც განიხილავდა მიშელ ჰარდტის მიერ ფუკოს დისციპლინის ცნებას, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაზე მსჯელობის საშუალებას, კარგად აღნიშნავს, „ფუკოსეული დისციპლინა... არ არის ბუნებრივი, ან მოცემული სოციალური ელემენტების წყობა, არც ამკრძალავი აპარატი, არამედ, მოკლედ რომ ვთქვათ, ის პროდუქტიული ინსტრუმენტია, რომელიც იმისათვის მოქმედებს, რომ იდენტობების მართვა შეძლოს“. ევა ჩერნიავესი, „ნეომოქალაქეობა და კრიტიკა“, გვ. 1-23, 2009.
6. ფუკო, „სექსუალობის ისტორია“; ფუკო, „საზოგადოება დაცული უნდა იყოს“, გვ. 249.
7. ფუკო, „საზოგადოება დაცული უნდა იყოს“, გვ. 249.
8. ფუკო, „სექსუალობის ისტორია“.
9. ფუკო, „სექსუალობის ისტორია“, გვ. 43.
10. იხილეთ გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკი, „შეუძლია სუბალტერნს ლაპარაკი?“, 1988; ენ ლორა სტოლერი, „რასა და სურვილის წვრთნა: ფუკოს სექსუალობის ისტორია და საგნების კოლონიური წყობა“, 1995; ენ ლორა სტოლერი, „სხეულებრივი ცოდნა და იმპერიული ძალაუფლება: რასა და ინტიმურობა კოლონიურ მმართველობაში“, 2002; რეი ქროუ, „პროტესტანტული ეთნიკურობა და კაპიტალიზმის სული“, 2002; სკოტ ლორია მორგენსენი, რომელიც სკოლა-ინტერნატებში ჩართული კოლონიზებული ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ბინარული გენდერული როლების თავსმოხვევაზე საუბრობს, ამტკიცებს, რომ „კოლონიზატორი ხელისუფლების საჯარო დასჯის სასტიკი კანონის ცვლილება და მისი ჩანაცვლება დისციპლინაზე დაფუძნებული მარეგულირებელი რეჟიმებით, რომელთა საშუალებითაც სიკვდილის ნორმალიზება ხდებოდა, იმგვარ მეთოდებს [მოიცავდა], [რომლებიც] არანაკლებ სასტიკი იყო“. სკოტ ლორია მორგენსენი, „კოლონიზატორთა ჰომონაციონალიზმი: ქვიარ მოდერნულობაში ახალმოსახლეთა კოლონიალიზმის თეორიზება“, გვ. 105-131, 116, 2010.

11. იხ. ანდრეა სმიტი, „დაპყრობა: სექსუალური ძალადობა და ამერიკელ ინდიელთა გენოციდი“, 2005, გვ. 35-54. სკოტ ლორია მორგენსენი, „კოლონიზატორთა ჰომონაციონალიზმი“, გვ. 105-131, 111-116.
12. როჯერსი ამერიკის ავიახაზების წინააღმდეგ, 1981.
13. ულანე აღმოსავლეთის ავიახაზების წინააღმდეგ, 1984.
14. ფრაგანტე ჰონოლოლუს ქალაქისა და ქვეყნის წინააღმდეგ, 1989; კაჰაკუა ფრაიდის წინააღმდეგ, 1989. სალემი ლა სალის უმაღლესი სასწავლებლის წინააღმდეგ, 1983; გიდეონი რივერსაიდის თემის კოლეჯის ოლქის წინააღმდეგ, 1986; მარლ მაცუდა, „ამერიკის ხმები: აქცენტი, ანტიდისკრიმინაციული კანონი და სამართალწარმოება უკანასკნელი რეკონსტრუქციისათვის“, 1991.
15. ჯეფერსონი ჰარას საოპერაციო კომპანიის წინააღმდეგ, 2006.
16. მიშელ ფუკო, „სახელმწიფოებრიობა,“ გვ. 95, 1991.
17. ფუკო აღწერს რასიზმს, როგორც ტექნოლოგიას, რომელიც ამართლებს მათ მკვლელობას, ვინც მოსახლეობის სიცოცხლის განმსაზღვრავ ძალაუფლებას ექვემდებარება: „რა არის სინამდვილეში რასიზმი? ის არის ძალაუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ სივრცეებში შეღწევის პირველადი საშუალება: რა უნდა გაქრეს და რა უნდა დარჩეს ცოცხალი. [ ... ] მანორმალიზებელ სამყაროში რასა და რასიზმი ყოველთვის ხდება ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის საწინდარი [ ... ] როდესაც ვამბობ „სიცოცხლის მოსპობას“, უბრალო მკვლელობას არ ვგულისხმობ, არამედ, მხედველობაში მაქვს ნებისმიერი არაპირდაპირი მკვლელობა: ვინმეს სასიკვდილოდ გამეტება, სიკვდილის რისკის გაზრდა, ან უბრალოდ, პოლიტიკური სიკვდილი, გაძევება, უარყოფა და ასე შემდეგ.“ მარიანა ვალვერდე, „ევროპის ქვეყნების გენეალოგია: ფუკოსეული რეფლექსიები,“ 2007; ფუკო, „საზოგადოება დაცული უნდა იყოს, გვ. 254, 258.
18. ჯეიმს კ. სკოტი, „სახელმწიფოს მსგავსად ხედვა: როგორი წარუმატებელი აღმოჩნდა ადამიანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად შექმნილი კონკრეტული სქემები“, 1998; პეისლი ქურა და ლიზა ჯინ მორი სტატიაში „ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ: ნიუ იორკის დაბადების მოწმობებში სქესის აღნიშვნების გასაჩივრება“, მსჯელობენ დაბადების რეგისტრაციების პროგრამებზე... ტრანსი აქტივისტების მიერ რეგისტრაციის დოკუმენტებთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ მცდელობებს აღწერენ და აანალიზებენ, გვ. 113-135, 2009.
19. მიშელ დინი, „სახელმწიფოებრიობა: ძალაუფლება და კანონი თანამედროვე საზოგადოებაში“, გვ. 34, 2010.
20. „გენდერიზებული რასიზმის ცნება ასევე გვეხმარება, გავიგოთ თეთრკანიანთა მტრობის სიმძაფრე გავრცელებული და სტერეოტიპული „კეთილდღეობის დედოფლის“ ხატის მიმართ. მასმედიასა და ყოველდღიურ დისკურსში ის წარმოდგენილია, როგორც აფრო-ამერიკელი ქალი, რომელიც თაღლითურად, უსაქმურად, ფუფუნებაში ცხოვრობს, კეთილდღეობის სარგებლის დახმარებით, რომელსაც ევროპელი ამერიკელები გადასახადების სახით ზეგანაკვეთური



სამუშაოს შედეგად იხდიან. გენდერირებული რასიზმი, ისევე, როგორც ზოგადად რასიზმი, ყველაზე კარგად გასაანალიზებელია, არა, როგორც რაიმე საგანი/ვითარება, არამედ, როგორც პროცესი. რასიზმის პროცესად განხილვას იქამდე მივყავართ, რომ დავსვით შეკითხვა, თუ როგორ და რატომ იჩენს თავს რასიზმი ისეთ პოლიტიკურ სფეროში, როგორც კეთილდღეობა. გენდერირებულ რასიზმზე, როგორც პროცესზე დაკვირვება საშუალებას გვძლევს, გავაანალიზოთ ის გზები, რომლითაც კლასზე, რასაზე და გენდერზე დაფუძნებული ღარიბ ადამიანთა, საზოგადოებრივ დახმარებაზე დამოკიდებული დედების ნეგატიური სახეხატები ეფექტიანად იქმნება რასობრივი სახელმწიფოს აქტორების, ან სხვათა მიერ, რომელთაც წვლილი შეაქვთ კეთილდღეობის დისკურსის წარმოებაში. მნიშვნელოვანია, კითხვა დაისვას, თუ რატომ ირჩევენ რასობრივი სახელმწიფოს აქტორები საკუთარ დისკურსში ფერადკანიან ქალებს (ან კი, მათ მიმართ რასობრივად კოდირებულ ტერმინებს იყენებენ), მაშინ, როდესაც მრავალი თეთრკანიანი ქალის ცხოვრება კეთილდღეობის სისტემისგან მიღებული სარგებლით განისაზღვრება. აგრეთვე, ბევრს გვეუბნება იმ ფუნქციების აღმოჩენაც, რომლებიც წარმატებულად ახერხებს ამგვარი სახეხატების გამოყენებას, რომლებიც თეთრკანიანთა რასობრივ ჰეგემონიას ემსახურება.” კენეტ ჯ. ნიუბეკი და ნოელ ა. კაზანევი, „კეთილდღეობის რასიზმი: რასობრივი კარტის თამაში ამერიკელი ღარიბების წინააღმდეგ”, გვ. 30, 2001.

21. „კეთილდღეობის დედოფალი რეიგანის კამპანიის ნაწილი ხდება”, გვ. 52, 1976. სიდარბის დისკურსსა და პოლიტიკაში კეთილდღეობის სახელმწიფოს ღარიბთა სტრატეგიკაცია გენდერთან, რასასთან და „ღირსებასთან” იკვეთება”, 2010.
22. კანონები, რომლებიც 2010 წელს არიზონას შტატის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო, პოლიციის მიერ იმ ადამიანების დაკითხვას ითვალისწინებდა, რომლებიც ექვმიტანილნი იყვნენ, როგორც დოკუმენტების არმქონე იმიგრანტები. კანონებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, რასობრივად ნეიტრალური იყო და რომლებიც კრძალავდა Latinos and Latinas საგანმანათლებლო პროგრამებს და რომლებიც ხელს უწყობდა იმგვარი სასკოლო სისტემების განვითარებას, რომლებიც შესამჩნევი აქცენტით, „არასწორი” ინგლისურით მოსაუბრე პედაგოგების სკოლებიდან გათავისუფლებას ითვალისწინებდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ადამიანების მიერ იშვიათად აღიქმებოდა, როგორც, ლათინური ამერიკის მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული კანონები. რა თქმა უნდა, ბევრი ის ადამიანი, რომელმაც საჯაროდ დაგმო არიზონას ახალი კანონები, მათ შორის, პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ზოგადად არ ეწინააღმდეგება უფრო ფართო საიმიგრაციო სისტემას, რომელიც არის და ყოველთვის, დაარსების დღიდან, მიზანში იღებს ფერადკანიან ადამიანებს, შშმ პირებს, ქვიარებს, ტრანსებსა და ღარიბებს. მრავალი ადამიანის მცდელობა, არიზონას ახალი კანონების მიმართ პროტესტი გამოეხატა, წარუმატებლად დასრულდა. მაგალითად, ასეთი იყო „უსაფრთხო საზოგადოებების” ფედერალური პროგრამის მიმართ გაჩენილი

წინააღმდეგობა, რომელიც, არიზონას საკამათო კანონის მსგავსად, ფართოდ იყენებს კანონის აღსრულების ადგილობრივ მექანიზმებს, რათა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ მოაქციოს იმიგრაციის სტატუსი შემდგომში მასობრივი დეპორტაციის მიზნით. იმიგრაციის პოლიტიკის ცენტრი, უსაფრთხო საზოგადოებები: ცნობის ფურცელი, 2010.

23. მაე მ. ნგაი აღწერს, თუ რაოდენ ხშირად წაახალისებდა 1920-იანების კალიფორნიაში ფილიპინელთა მიმართ ძალადობას სამუშაო კონკურენციის შესახებ რიტორიკა. ამის მიუხედავად, „აღნიშნული მიგნება დასაქმებისა და რასობრივი კონფლიქტის რეალური მაგალითებით ვერ მყარდებოდა.“ სინამდვილეში, ხშირად თეთრკანიანი მუშახელის ნაკლებობა აღნიშნებოდა და ასევე ხშირად ისინი არც კი იყვნენ იმ ტიპის სამუშაოთი დაინტერესებულნი, რომელზეც ფილიპინელებს ასაქმებდნენ. მსგავსი არასწორი ინფორმაცია, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის მანძილზე, იმიგრაციის აღსრულების დღიდან რასიზმისა და ქსენოფობიის საშუალებით იმიგრაციის შესახებ დებატებში ვრცელდება და ნარჩუნდება. მაე მ. ნგაი, „შეუძლებელი სუბიექტები: არალეგალი უცხოპლანეტელები და თანამედროვე ამერიკის შექმნა“, 2004.
24. ფუკო, „საზოგადოება დაცული უნდა იყოს“, გვ. 254-256.
25. სან ანტონიოს დამოუკიდებელი სკოლის უბანი როდრიგესის წინააღმდეგ, 1973 ის კარგად ცნობილი სამართლებრივი საქმეა, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ უშლის ხელს სისტემური რასიზმის აღმოფხვრას კანონის ფარგლებში ჩავვრის ვიწრო ანალიზი. აღნიშნულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ ტეხასის სკოლის დაფინანსების მეთოდი სცნო, რომელიც ქონების გადასახადებს ეფუძნებოდა. [დაფინანსების ამ მეთოდმა] მნიშვნელოვანი განსხვავებები წარმოშვა მდიდარი თეთრკანიანებით დასახლებულ უბნებსა და ღარიბი ფერადკანიანი და ლათინო მოსწავლეებით დასახლებულ უბნებს შორის. მდიდართა სკოლები, რომლებშიც 81% თეთრკანიანი, ხოლო 18% ლათინო და 1% ფერადკანიანი სწავლობდა, შემოსავლის სახით ყოველწლიურად თითოეულ მოსწავლეზე \$594 იღებდა. ღარიბი სკოლები კი, რომლებშიც 90% ლათინო, 6% ფერადკანიანი, ხოლო 4% თეთრკანიანი სწავლობდა - ერთ მოსწავლეზე \$356 იღებდა. მდიდარ უბანში თითო მოსწავლეზე შეფასებული ქონების საშუალო \$49,000-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ღარიბთა უბანში ეს რიცხვი \$5,960 იყო. უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა, მიეღო გადაწყვეტილება, რომ სკოლების დაფინანსების აღნიშნული მეთოდი მისი რასობრივ-კლასობრივი ზეგავლენის გამო სასამართლოს მხრიდან მკაცრ კონტროლს იმსახურებდა.
26. შერილ ი. ჰარისი, „თეთრკანიანობა, როგორც საკუთრება“, 1993; ანდრეა სმიტი, „ჰეტეროპატრიარქატი და თეთრკანიანთა უპირატესობის სამი ფუნდამენტი: ფერადკანიან ქალთა ორგანიზების გადააზრება, 2006.
27. იხ. სამართლიანი ეკონომიკისთვის გაერთიანებულნი, „სიმდიდრის რასობრივი განსხვავებების აღმოფხვრა ტრეინინგის სახელმძღვანელო“, 2006.

28. ჯოდი მელამედის შენიშვნები 2011 წლის კრიტიკული ეთნიკური კვლევების კონფერენციაზე კალიფორნიის უნივერსიტეტში ყურადღებას მიაპყრობდა აშშ-ს მიერ რიტორიკული ცვლილებების საკითხზე, რომელიც სიმდიდრისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების რასობრივ გადანაწილებას ინარჩუნებდა. მისი მოსაზრებები ცხადყოფს, თუ როგორ შეიზღუდა ამ ცვლილებების შედეგად პოლიტიკური დისკურსი იმგვარად, რომ წინააღმდეგობის პოლიტიკები ვიწრო, უფლებებზე დაფუძნებულ ბრძოლებთან შეკავშირდა, რასაც ტრანსფორმაციული ცვლილებების მოტანა არ შეეძლო. იგი ამტკიცებდა:

იმ ჩარჩოს ფარგლებში, რომელმაც რასიზმი, როგორც „წინასწარგანწყობა“ მონიშნა და ანტი რასიზმი როგორც თანაბარი შესაძლებლობების, კუთვნილებითი ინდივიდუალიზმისა და კულტურული მოქალაქეობის გაგრძელებად განმარტა, ცივი ომის აშშ-ს რასობრივი პოლიტიკა აღმოჩნდა გეოპოლიტიკა, რომელმაც შეცვალა არა [სიმდიდრის] გადანაწილებაზე ორიენტირებული ანტირასიზმი აშშ-ს ნაციონალიზმით, რომელიც ტრანსნაციონალური კაპიტალიზმის ძალაუფლებას გამოხატავდა. ეს ერთგვარი ცვლილება მკაცრად განსაზღვრული/გადაწყვეტილი იყო. ცივი ომის რასობრივმა ლიბერალიზმმა რასობრივი მნიშვნელობების იმ სფეროს მისცა ბიძგი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების უპირატესობა მოცემულობაა და ანტირასიზმის მიზნებში სახელმწიფოს ინტერესები მყარად ასიმილირებული. ის არ აძლევს საშუალებას რასობრივი კონფლიქტის დაკავშირებას ლიბერალური პოლიტიკის იმ სფეროებთან, რაც კაპიტალიზმის მიერ ნაწარმოებ მატერიალურ უთანასწორობებს ნიღბავს.

29. გენდოლინ მინკი, „ლედი და მაწანწალა: გენდერი, რასა და ამერიკული კეთილდღეობის სახელმწიფოს სათავეები“, გვ. 92-122, 1990. ლიზა დუგანი, „თანასწორობის ბინდი? ნეოლიბერალიზმი, კულტურული პოლიტიკა და დემოკრატიაზე თავდასხმა“, 2004.

30. მინკი, „ლედი და მაწანწალა“; ჰოლოვეი სპარკსი, „დედოფლები, თინეიჯერები და მოდელი დედები: რასა, გენდერი და კეთილდღეობის რეფორმის დისკურსი“, გვ. 88-189, 2003; დუგანი, თანასწორობის ბინდი?”

31. ლოიკ ვაკუანტი ყურადღებას ამახვილებს, თუ რაოდენ აბსურდული იყო კეთილდღეობის სისტემის მიმართ კლინტონისდროინდელი თავდასხმები და საუბრობს მდიდარი ოჯახებისთვის უფრო დიდი სუბსიდიების გამოყოფაზე. მიუხედავად ყველა მხრიდან პოლიტიკოსთა ხმამაღალი განცხადებებისა, რომ „დიდი მთავრობის დრო“ უნდა დასრულებულიყო - 1996 წელს კლინტონის დროინდელ შტატებში არსებული მხიარული მისამდერი - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მრავალ გარანტიას აძლევს კორპორაციებს და საშუალო და მაღალ კლასებს უჭერს მხარს. ამის მაგალითია საცხოვრებლით ურზუნველყოფის პროგრამა (home ownership assistance): ფისკალური დედუქციის თითქმის \$64 მილიარდის ნახევარი

იპოთეკური პროცენტი და უძრავი ქონების გადასახადისთვის 1994 წელს ვაშინგტონის მიერ (რაც თითქმის სამჯერ მეტი იყო, ვიდრე საჯარო საცხოვრებლის ბიუჯეტი) გადაეცა 5 პროცენტ ამერიკელ შინამეურნეობებს, რომელთა წლიური შემოსავალი \$100,000-ზე მეტს შეადგენდა, და 16 პროცენტი კი მიდიოდა იმ 1 პროცენტ გამამხდელეებთან, რომელთა შემოსავლები აღემატებოდა \$200.000-ს. ყოველ 10 ოჯახში 7 ოჯახზე მეტი, რომელიც ყველაზე მაღალ, 1 პროცენტს შეადგენდა, იღებდა იპოთეკურ სუბსიდიებს (საშუალოდ \$8,457) უფრო ნაკლები 3 პროცენტის წინააღმდეგ, რომელთაც ჰქონდათ \$30,000-ზე ქვემოთ მაჩვენებელი (მალიან მცირე \$486). ამ ფისკალურმა სუბსიდიამ, რომელიც \$64 მილიარდს შეადგენდა მდიდარი ოჯახებისათვის, შეამცირა ეროვნული ხარჯები კეთილდღეობისათვის (\$17 მილიარდი), საკვები მარკები ღარიბი ოჯახებისთვის (\$25 მილიარდი) და ბავშვთა კვების უზრუნველყოფის ხარჯები (\$7-5 მილიარდი). ლოიკ ვაკუანტი, „ღარიბთა დასჯა: სოციალური დაუცველობის ნეოლიბერალური მთავრობა“, გვ. 42, 2009.

32. შესაძლოა, ყველაზე სამარცხვინო ნიმუში ამ ტიპის კვლევებისა იყო 1965 წლის ნაშრომი „ზანგის (negro) ოჯახი: საქმე ეროვნული ქმედებისათვის“, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ მონიანის ანგარიში. ეს ნაშრომი ამტკიცებდა, რომ ფერადკანიანთა ოჯახი იყო „პათოლოგიური უწესრიგობა... რომელსაც უნარი ჰქონდა, საკუთარი თავი თეთრკანიანი სამყაროს დახმარების გარეშე შეენარჩუნებინა“ და რომ „ზანგების (negro) საზოგადოების სტრუქტურის ჩამოშლის უმთავრესი ასპექტია ზანგთა ოჯახებს სტრუქტურის ჩამონგრევა.“ ის ამტკიცებდა, რომ ფერადკანიანი ადამიანების ეკონომიკური და პოლიტიკური თანასწორობა ფერადკანიანთა თემში ჰეტეროსექსუალური ნუკლეარული ოჯახების რაოდენობის ზრდაზე იყო დამოკიდებული. ეს ძირითადი დოკუმენტი იყო, რომელმაც რასისტული, სექსისტური და ღარიბების წინააღმდეგ მიმართული მოსაზრება ჩამოაყალიბა იმის თაობაზე, რომ კეთილდღეობის მიღება არის ოჯახის სტრუქტურის პატრიარქალურ ნორმებთან დაუმორჩილებლობის მიზეზი და შედეგი. დენიელ პატრიქ მონიანი, „ზანგების ოჯახი: საქმე ეროვნული მოქმედებისათვის“, 1965.

33. პატრიცია ალარდი, „დანაშაული, სასჯელი და ეკონომიკური ძალადობა“, გვ. 157-163, 2006.

34. დოროთი რობერტსმა სიღრმისეულად აღწერა და გაანალიზა რასობრივი განსხვავებები ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში. „ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი, რომელიც ოჯახიდან გაიყვანეს, ამჟამად მინდობით აღზრდაში ცხოვრობს. ამ მხრივ ყველაზე მეტად აფრიკელ-ამერიკელთა ჯგუფი არის შეწუხებული სამთავრობო ორგანოების მიერ. ფერადკანიანი ბავშვები მინდობით აღზრდაში მყოფი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ, თუმცა, მათი რაოდენობა ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების ერთ მეხუთედზე ნაკლებია. ჩიკაგოში მინდობით აღზრდაში მცხოვრები ბავშვების 90 პროცენტი ფერადკანიანები არიან. ოჯახთან განშორების შემდგომ ფერადკანიან ბავშვებს, როგორც წესი, უფრო დიდხანს აყოვნებენ ზრუნვის სისტემაში, უფრო ხშირად გაჰყავთ ოჯახებიდან, ისინი უფრო ნაკლები სერვისით

სარგებლობენ და სხვა ბავშვებთან შედარებით, ოჯახში დაბრუნების, ან შვილად აყვანის უფრო ნაკლები შანსი აქვთ.” დოროთი რობერტსი, „დარღვეული კავშირები: ფერადკანიანი ბავშვის კეთილდღეობა”, 2002.

35. ფრიმანი, „რასობრივი დისკრიმინაციის ლეგიტიმაცია ანტიდისკრიმინაციული კანონით,” გვ. 29-45.

36. 2009 წლის ფედერალურ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონზე სიკვდილით დასჯის დამატების შესახებ არსებულმა წინააღმდეგობებმა ეს დაძაბულობა კიდევ უფრო გამოააშკარავა. ძალადობის საწინააღმდეგო პროექტების ეროვნულმა კოალიციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც აკრიტიკებდა კონკრეტულად სასიკვდილო განაჩენის პუნქტის დამატებას, მაშინ, როცა სხვა ჯგუფები, როგორცაა ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანებული საზოგადოებები სან ფრანცისკოში, ოდრი ლორდის პროექტი, ამერიკელი მეგობრების დახმარების კომიტეტი და სილვია რივერას კანონის პროექტი ნიუ იორკში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტრატეგიას საფუძველშივე აკრიტიკებდნენ. წინააღმდეგობის შედეგად ყურადღება გამახვილდა რეალურ საფრთხეებზე, რომლებიც სისხლის სამართლის სადამსჯელო სისტემასთან დაახლოებას უკავშირდებოდა, გააჩნდა რა დაუსრულებელი სურვილი და მოთხოვნილება იმისა, რომ სადაც კი შესაძლებელი გახდებოდა, გაეფართოებინა საკუთარი თავი უფრო და უფრო უხეში სასჯელის დამკვიდრების გზით. რებეკა ვაგონერ-კლოეკი და შერონ სტაპელი, „ძალადობის საწინააღმდეგო პროგრამების ეროვნული კოალიციის განცხადება”, 2009. სილვია რივერას სამართლის პროექტი, გაბედული, ქვიარები ეკონომიკური სამართლიანობისთვის, პიტერ ციჩინოს ახალგაზრდული პროექტი და ოდრი ლორდის პროექტი, სილვია რივერას სამართლის პროექტი არ უცხადებს მხარდაჭერას “Gender Employment Non-Discrimination Act”-ს 2009. სილვია რივერას სამართლის პროექტი, „სილვია რივერას სამართლის პროექტი ეწინააღმდეგება Matthew Shepard and James Byrd, Jr. Hate Crimes Prevention Act”-ს.

37. იხილეთ ავერი გორდონი და ქრისტოფერ ნიუფილდი, „მულტიკულტურალიზმის გამოსახვა”, 2008.